# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 4 ივნისი, 2015 წელი.

№101 (7746)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ვებ გვერდი: www.sakresp.ge | ფასი 50 თეთრი.


## „რძალდედამთილიანი“ – პოლიტიკური ამბიციები ⑤



## ოკუპირებულ ტერიტორიებზე სავალალო მდგომარეობაა! ③



## თავად დამნაშავე სხვათა დანაშაულს განსჯის? ②

ოდესაში კიდევ ერთი ქართველი ბრალდებული გადაისროლეს

## რა ბედი ელის მაჟორიტარულ სისტემას? ③ ⑤

## „აბი“, რომელსაც ბიზნესს, ალბათ, არ მისცემენ... ④

## დაკონსერვებულ მშენებლობათა განახლება საშიშია ④



◉ ტელეინტერვიუს ექო

# უნამუსობაც, უსირცხვილობას რა ვუთხრათ შენსას!

***ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის პოლიტიკური კრედო წლების მანძილზე უცვლელია: 2003 წელს ხელისუფლების სათავეში ნაციონალური მოძრაობა ზარ-ზეიმით დიდწილად მისი ჟურნალისტების მეოხებითაც მოვიდა. მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და როგორ წარმართა ნაცების მთავრობამ თავისი საქმიანობა, რით დაამახსოვრა თავი ხალხს და რა პასუხი მიიღო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ყველას კარგად მოეხსენება.***

***ყველაფრის მიუხედავად, „რუსთავი-2“ თავის ხაზს აგრძელებს, ახლა უკვე ოპოზიციონერი ნაცმოძრაობის ყოველმხრივ რეაბილიტაციას და „ქართული ოცნების“ მოღვაწეობის დაკნინებას ცდილობს. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 2 ივნისს თავისი ტენდენციურობით უკვე „სახელმოხვეჭილი“ გიორგი გაბუნიას ტელეინტერვიუ საქართველოს მიერ ექსტრადირების მოთხოვნით ძებნილ ექსპრეზიდენტ, ამჟამად კი უკრაინის მოქალაქესა და ოდესის ოლქის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილთან. ამ ტელეოპუსის თაობაზე თავიანთ აზრს ჩვენი თანამოქალაქეები ეხმაურებიან. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს.***

**„ცრუსთავი-2“-ის მორიგი თავხედური დემაგოგია**

— ექსპრეზიდენტის გამოსვლაში ყურადღება მისი გამოსვლის უფრო ეკონომიკურ მხარეს მივაქციე. თქმა არ უნდა, წინა ხელისუფლებას გარკვეული წარმატებები ჰქონდა და მათი დაუნახაობა არაფრით არ იქნება. მაგრამ, ამასთან ერთად, თავად ბატონი სააკაშვილის აღიარებით, ბევრი რამ ნაჩქარევად და, როგორც თვითონვე განაცხადა, „ზედმეტად ხისტად გაკეთდა“, რისთვისაც ხალხი მზად არ იყო, თუმცა კი, მაშინვე ისიც დაამატა, რომ შეცდომები ყველა დიდ საქმეში, პრაქტიკულად, გარდაუვალია. ამ შემთხვევაში იმის თქმა იქნება უპრიანი, რომ გარკვეული შეცდომები სხვასაც შეიძლება მოუვიდეს და ოპონენტების ხელაღებით კრიტიკა, როგორც ამას იგივე ნაცმოძრაობა და „რუსთავი-2“ აკეთებს, სხვა თუ არაფერი, არაკორექტულია.

**ემზარ კანდელაკი, ეკონომისტი.**




— ყველაზე მეტად ექსპრეზიდენტის გამოსვლაში იმან გამაოცა, რომ იმ აურება გადაცდომისთვის, რაც ნაცმოძრაობის თითქმის ათწლიანი მმართველობისას მოხდა, მისგან სინანულის ნატამალი ვერ დავინახე.

**თენგიზ სულაძე, ბიოფიზიკოსი.**

— თავიდან ვიფიქრე, ბოლომდე გულისყურით მოვუსმენ-მეთქი, მაგრამ სატელევიზიო ინტერვიუს ყოვლისმცოდნე, ქკუის დამრიგებლურმა ტონმა და უნამუსობამ იმდენად ამშალა ნერვებზე, რომ სხვა ტელეარხზე გადავერთე.

**ლია ლომიძე, მხატვარი.**

— სალარო აპარატებზე რომ ლაპარაკობდა ბატონი სააკაშვილი, ხან ძალით ვაყიდინეთ მეწარმეებს, მერე მოვეშვით, მერე ისევ გავამკაცრეთ წესები, ახლა კარგად არ გამოგვივიდაო, გაჭირვებულმა ხალხმა ამით რამდენი ზარალი განიცადა, რამდენი ნერვების ფასად დაუჯდა და ყველაფერი, იცის კი მიშამ? ბოდიში მაინც ეთქვა!..

**ანზორ გოგუაძე, მცირე მეწარმე.**

— იპოთეკის ვალები ხალხს „ქართულმა ოცნებამ“ უნდა დაუფაროს, უპროცენტო კრედიტები უნდა მისცესო რომ თქვა, განა ამ ვალების უმეტესობა მაგის ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს არ აიღო ხალხმა? განა ნაცმოძრაობის შეუსრულებელი დაპირებების შედეგი არ არის უამრავი ოჯახის უსახლკაროდ დარჩენის მიზეზი? ახლა ბიზნესების წართმევა და დემონსტრანტების რბევა, უდანაშაულო ხალხის, ამდენი ახალგაზრდის მხეცური მკვლელობაც გავიხსენოთ!...

უბრალოდ სირცხვილია!..

**ბაბილინა წოწორია, იპოთეკარი.**

**P. S. ეს მოკლე ინტერვიუები ჩვენმა ჟურნალისტებმა სახელდახელოდ ჩაიწერეს, ზოგი ქუჩაში, ზოგიც — ტელეფონით. სოციალური ქსელი „ფეისბუქი“ კი, რომელიც, ჩვეულებრივ, ნებისმიერ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენას უმალ ეხმაურება, ამ ინტერვიუს გასაოცარი ინერტულობით ხვდება.**

**ესეც ხომ მნიშვნელოვანია!**

**„სრ“ რედაქცია**

# მოტივირებული ვართ, კიდევ უფრო ეფექტური გავხადოთ მთავრობის საქმიანობა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მთავრობა მოტივირებულია, კიდევ უფრო გააუმჯობესოს და უფრო ეფექტური გახადოს საქმიანობა.**

ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა „ექსპოჯორჯიაში“ განაცხადა, სადაც გუშინ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ევროპის რეგიონული კონფერენცია გაიმართა. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ძალიან დიდი პატივია, რომ საქართველო შეარჩიეს ადგილად, სადაც დღეს ტარდება „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ევროპის რეგიონული კონფერენცია.



„ეს არის ძალიან დიდი ნდობის გამოცხადება ჩვენი ქვეყნისადმი. როგორც უკვე აღინიშნა ჩვენ ვართ 29-ე ქვეყანა მთელ მსოფლიოში ღია მმართველობის კუთხით, მთავრობის გამჭვირვალედ მუშაობის კუთხით“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ღია მმართველობის პარტნიორობის შექმნის ინიციატივა ეკუთვნის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას, რომელმაც 2011 წელს დააფუძნა ეს ინიციატივა. ღარიბაშვილის განცხადებით, მაშინ ამ ორგანიზაციაში 8 წევრი იყო, დღეს კი 65 ქვეყანაა და მათ შორის არის საქართველო.

„რაც ყველაზე მნიშვნელოვანია იმ დიდი მიღწევების, ჩვენი გამჭვირვალე პოლიტიკის, გახსნილობის, ჩვენი რეფორმების გამო, გასულ წელს ჩვენ აგვირჩიეს მმართველ კომიტეტში წევრად. ეს არის ძალიან დიდი აღიარება. ასე, რომ შემთხვევითი არ არის, რომ დღეს თბილისში იმართება ეს კონფერენცია. გეტყვით, რომ ეს არის ის, რისკენაც მიისწრაფვის თანამედროვე სამყარო, თანამედროვე ძლიერი ცივილიზებული სახელმწიფოები და ჩვენ მათ შორის ვართ“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

„საზოგადოების ჩართულობა არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენთვის. მმართველობის საკითხებში მოქალაქეთა მუდმივად ჩართულობის კარგი გამოხატულებაა თუნდაც ის საზოგადოებრივი ცენტრები, რომლებსაც შედარებით მცირედასახლებულ პუნქტებში ვაშენებთ. ეს ცენტრები გამიზნულია იმისკენ, რომ მოქალაქეებს ერთი ფანჯრის პრინციპით მიეწოდოთ სწრაფი სერვისები. ასევე ერთიან სოციალურ კულტურულ და საკომუნიკაციო სივრცედ ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი სივრცეები, მათ შორის ელექტრონული ბიბლიოთეკები, უფასო კომპიუტერები და ინტერნეტი და ჩემი მიზანია, რომ ეს სერვისები მხოლოდ დიდი ქალაქების ფუფუნება არ იყოს“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## ტოომას ჰენდრიკ ილვესი საქართველოს სტუმრობდა

**საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ესტონეთის პრეზიდენტმა ტოომას ჰენდრიკ ილვესმა ქვეყნის ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.**

ესტონეთის პრეზიდენტთან ერთად, გმირთა მოედანზე იმყოფებოდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დავით პატარაია, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი და გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე.

ტოომას ჰენდრიკ ილვესი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით გუშინ იმყოფებოდა. ის პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერს და პრეზიდენტს შეხვდა.

**ინფორმაცია**

## რეგიონში ტრილიონ დოლარზე მეტი გაქრა და ლარი როგორ იქნებოდა ძველ ნიშნულზე

**ლარის** დევალვაცია თავიდან ბოლომდე არის რეგიონში შექმნილი მდგომარეობა და ამის პოლიტიზირება არ შეიძლება, — ამის შესახებ „საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებით განაცხადა.

„რეგიონში ტრილიონ დოლარზე მეტი გაქრა და ლარი ვერ იქნებოდა იმ ნიშნულზე, ეს ფიზიკურად შეუძლებელია, როცა რუბლი, გრივნა, თურქული ლირა, აზერბაიჯანული მანათი, ევრო დოლართან შედარებით დაეცა. ეს რეალურად არის დოლარის გამყარების ტენდენცია და არა ლარის დასუსტების. შესაბამისად, ფუნდამენტური ცვლილება, რაც საქართველოს ეკონომიკაში უნდა მომხდარიყო, უკვე მოხდა — ანუ იმპორტი შემცირდა, ექსპორტი შემცირდა. რაც შეეხება ტურიზმს, გვაქვს კარგი ტენდენცია — თითქმის 15%-იანი ზრდა. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს ყველანაირი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ლარმა გამყარება დაიწყოს“ — განაცხადა გილაურმა.

# მცხეთაში ჯვრის გამოჩინების დღესასწაული აღნიშნეს




**გუშინ მცხეთის ჯვრის მონასტერში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მღვდელმთავრებთან და მონასტრის სასულიერო პირებთან, ბერებთან ერთად, პარაკლისი გადაიხადა.**

როგორც კრწანისის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა ბესარიონ მენაბდემ განაცხადა, მცხეთაში ჯვრის გამოჩინებისას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაფუძნების დღე აღინიშნება. მისი თქმით, წმინდა ნინოს დროს, ხარების დღესასწაულზე მცხეთაში მოიჭრა ხე, რომლისაგან სამი ჯვარი გააკეთეს, ერთ-ერთი ჯვარი იმ ადგილზე აღიმართა, სადაც დღეს მცხეთის ჯვრის მონასტერია. სულთმოფენობის პირველ ოთხშაბათს კი, ჯვრის აღმართვასთან ერთად ზეცაში ცეცხლოვანი ჯვარი გამოჩნდა.

მისივე განმარტებით, ქართლის ცხოვრებაში ძალიან ბევრი სასწაულია დაცული, რომელიც ამ ჯვარზე ჯვრის აღმართვას უკავშირდება.

## საქართველომ და საფრანგეთმა თანამშრომლობის დოკუმენტებს ხელი მოაწერეს

**„ღია მმართველობა პარტნიორობის“ კონფერენციის ფარგლებში საქართველომ და საფრანგეთმა თანამშრომლობის დოკუმენტებს მოაწერეს ხელი.**

ქართული მხრიდან დოკუმენტებს ხელი მოაწერა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, ხოლო ფრანგული მხრიდან საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრმა რეფორმებისა და სახელმწიფო სერვისების გამარტივების დარგში ტიერი მანდონიმ.

როგორც თეა წულუკიანმა ხელმოწერის შემდეგ განაცხადა, ევროპული კონფერენციის ფარგლებში საქართველომ და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობის დოკუმენტს სამ საკითხზე. ესენია — სახელმწიფო სტრუქტურებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის შესახებ გამოცდილების გაზიარება, საზოგადოებრივი ცენტრები და სოფლად სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის სფერო და მესამეა, როგორ გამოქვეყნდეს სასამართლოს გადაწყვეტილებები ისე, რომ პირადი მონაცემები იყოს დაცული.

**კაკალ გულში**

# წერტილოვანი ფრაზები




**● გაბუნია სააკაშვილის გამზარდიაა.**

**● ყველას ბიძოს შეძლება მოგცეთ ღმერთმა.... ბოროტების გარდა! ნაცებს მინდა ვკითხო — მიშას, კეზერას, უგულავას, მერაბიშვილს და შემდეგ სიით — მილიონები კი არადა მილიარდები არ გაქვენ ხო??. საყდრისის განადგურებას თქვენ არ ჩაუყარეთ საფუძველი? კაგებეს მეთოდებს თქვენ არ იყენებდით? ხალხს არ პარსავდით? რუსული არმიის შემოჭრას მწვანე არ აუნთეთ? ტყის მასივები და თბილისის შემოგარენში 400 ჰა მიწა ჩინელებს 27 ათს დოლარად არ მიეცით? ეკლესიას არ უთხრიდით ძირს?....**

**მე მიკვირს რომ თქვენ რაიმეს იმედი გაქვთ.... რამდენიმე დაბნეული ემიგრანტი მეცოდება..**

**ახალგაზრდები მეცოდებიან!**

**ჩემი თავიც მეცოდება თქვენ პახმელიაზე ამ გაუგებარ ხალხს რომ ავუნთე მწვანე. რაც მამშვიდებს,** ვიცი, რომ ხალხს არ ათახსირებენ... ჯერჯერობით ესეც საკმარისია!

დანარჩენს მივხედავთ ოღონდ თუ გავძელით.

**● მადლობა მინდა მოვახსენო „მარიხუანის ლეგალიზაციის“ მანიფესტაციის მონაწილეებს იმისათვის, რომ ამ დიდებული აქციით მათ ნათლად დაგვანახეს თუ რატომ არ შეიძლება მარიხუანის ლეგალიზაცია და რა შედეგები მოჰყვება საბოლოოდ ამ ნარკოტიკის მოხმარებას!!!**

**P. S. ზომიერი დეკრიმინალიზაციის მომხრე ვარ, ანუ ჯარიმები უნდა შენარჩუნდეს, ციხე კი ნამდვილად უნდა გამოირიცხოს!!!**

**ამოკრიბა**

**გია გაბრიჭიძე**

**პრეცედენტის დამკვიდრება?!**

# თავად დამნაშავე სხვათა დანაშაულს განსჯის?

## ოდესაში კიდევ ერთი ქართველი ბრალდებული გადაისროლეს

**კიდევ ერთი ბრალდებული, რომელიც შესაძლოა, ოდესის პროკურორი გახდეს, ზურაბ ადეიშვილია. უკრაინული მედიის ინფორმაციით, ოდესის ახალმა გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა პროკურორისა და შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის კანდიდატურები უკვე შეარჩია. უკრაინული ონლაინ გამოცემა „პრესტუპნოსტი.ნეტ“-ის ინფორმაციით, ოდესის რეგიონში პროკურორის პოსტზე ადეიშვილს უახლოეს მომავალში წარადგენენ.**

თუ ოდესის ოლქის პროკურორის თანამდებობას ზურაბ ადეიშვილი დაიკავებს, სააკაშვილის შემდეგ იგი იქნება მეორე ქართველი ბრალდებული, რომელსაც უკრაინის პრეზიდენტი დააწინაურებს. იუსტიციის ყოფილ მინისტრს ზურაბ ადეიშვილს, საქართველოს მთავარი პროკურატურა თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ორგანიზებას, მტკიცებულებების ფალსიფიკაციასა და დანაშაულის პროვოცირების ორგანიზებას ედავება.



იურისტი ლევან ალაფიშვილი თვლის, რომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ეს არის ქვეყნის სუვერენული უფლება, რადგან ბრალდებულის სტატუსი არ ნიშნავს, რომ დანაშაული ჩადენილია და დადასტურებულია სასამართლოს მიერ.

**„პროკურორად დანიშვნამდე ადეიშვილი უნდა გახდეს უკრაინის მოქალაქე, რაც ნიშნავს იმას, რომ უკრაინის მოქალაქე უკრაინის კანონმდებლობის შესაბამისად არ არის ბრალდებული. ასე რომ, სამართლებრივად, პრობლემა არ არის. შეგახსენებთ, რომ ანალოგიური პრეცედენტი იყო საქართველოში, როდესაც მთავარ პროკურორად დაინიშნა ადამიანი, რომელსაც გერმანიაში ჰქონდა კანონთან კონფლიქტი, მაგრამ ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად ეს არ ყოფილა შემაფერხებელი ფაქტორი, რომ ოთარ ფარცხალაძე გამხდარიყო მთავარი პროკურორი“,** — აცხადებს ლევან ალაფიშვილი.

მისივე განცხადებით, იმის გათვალისწინებით, რომ დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების ფრონტი უკრაინაში გადის, ხდება ძალების მობილიზაცია და იმ ლიდერების გაძლიერება, რომლებსაც უკრაინა დასავლეთთან ერთად ბრძოლისუნარიანად მიიჩნევს.

**„არ მგონია, რომ ეს გადაწყვეტილება დასავლელი პარტნიორებთან უკონსულტაციოდ მიღებულიყო. ვიცით, რომ სააკაშვილმა მოქალაქეობის შენარჩუნების მოტივით თქვა უარი ვიცე-პრემიერობაზე, მაგრამ ახლა რანგით უფრო დაბალ თანამდებობის გამო უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე. არ ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ სააკაშვილის გადაწყვეტილებით ხდება. დიდი ალბათობით, უკრაინის პირველმა პირმა ეს გადაწყვეტილება დასავლეთთან კონსულტაციების შედეგად მიიღო“,** — ამბობს ლევან ალაფიშვილი.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე უკრაინის ხელისუფლებას ადეიშვილთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე მისი პიროვნების კარგად შესწავლას ურჩევს.

**„ნებისმიერ ქვეყანას ვურჩევდი, ვიდრე ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ, უბრალოდ კარგად შეისწავლონ რას აკეთებდნენ ეს პიროვნებები საქართველოში და რითი იყვნენ დაკავებული“,** — აცხადებს ეკა ბესელია.

პარლამენტის ვიცე-სპიკერის განმარტებით, თუ ადეიშვილი დაიკავებს ოდესის პროკურორის თანამდებობას, ამით უკრაინა ამკვიდრებს პრეცედენტს, რაც ძალიან სერიოზული შეცდომა იქნება.

**„ვიცი, რომ პიროვნებები, რომელთა მიმართაც სისხლის სამართლებლივი დევნაა, მხილებული არიან მძიმე დანაშაულში, ზოგადად, ნორმალურ ქვეყნებში პროკურორად არ ინიშნებიან. თუმცა, უკრაინა არის სუვერენული სახელმწიფო და ვისაც მოისურვებს, იმას დანიშნავს პროკურორად — დამნაშავეს, ბრალდებულს თუ ყოფილ პატიმარს, ეს უკრაინის გადასაწყვეტია.**

**ჩვენ არ ვერევით უკრაინის შიდა საქმეებში. მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს იქნება ძალიან სერიოზული შეცდომა, როცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი არის პროკურორი. მე ასეთი რამ არ მსმენია, არსად მინახავს. თუ ახლა რაღაც პრეცედენტს ამკვიდრებს უკრაინა, ეს მათი საქმეა“,** — აღნიშნა მანანა კობახიძემ.

**თამთა ქარჩავა**

ხელისუფლების საყურადღებოდ!



# ოკუპირებულ ტერიტორიებზე სავალალო მდგომარეობაა!

**საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება წარმოადგენდა იმ შეხვედრებზე განსახილველ ერთ-ერთ ძირითად თემას, რომლებიც 2 ივნისს, თბილისში, ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართა ეუთოს მორიგე თავმჯდომარე ქვეყნის — სერბიის — პირველმა ვიცე-პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ივიცა დაჩიჩიმ. ერთი დღით ადრე კი, საგარეო საქმეთა სამინისტრომ უცხოელ დიპლომატებს წარუდგინა 2015 წლის პირველი სამი თვის ანგარიში, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ სავალალო შედეგებს ასახავს. თემას ლელა კუნჭულია განავრცობს.**

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, საკუთრების უფლების ხელყოფა თუ ადამიანის უკანონო დაკავების ფაქტები — საგარეო უწყების ანგარიში ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ სავალალო ვითარებას წარმოგვიდგენს — მედიის, მე-3 სექტორისა თუ სხვა ღია წყაროების ინფორმაციებზე დაყრდნობით. ანგარიშში მოყვანილია კონკრეტული ფაქტები, — ასე მაგალითად: თუ როგორ დაიჭირეს 2015 წლის იანვარში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა საოკუპაციო ზოლის გასწვრივ გალის რაიონში მცხოვრები სკოლის მოსწავლეები, რომლებიც მიდიოდნენ სკოლაში — წალენჯიხის რაიონის სოფელ წყოუში. რუსი ოფიცრები იყვნენ მთვრალები და ხუთი საათის განმავლობაში დაკავებულ სამ ბავშვს ცუდად ეპყრობოდნენ.

დღეს, პრაქტიკულად, ოკუპირებული ტერიტორიები ეს არის შავი ხვრელები როგორც გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის ყოფილმა კომისარმა უწოდა ამ ტერიტორიებს...

ანგარიშში ასახულია ასევე არაერთი ფაქტი, როცა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლები ფიზიკურად უსწორდებოდნენ თითქოსდა „საზღვრის უკანონოდ გადალახვის“ ბრალდებით დაკავებულ პირებს. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ — სპეციალურად საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ინგლისურ ენაზე მომზადებულ ანგარიშში, რომელიც ყოველკვარტალური უნდა გახდეს, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით, ოკუპანტად ცნობილი რუსეთი ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვას მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, არადა პასუხისმგებლობა სწორედ მას ეკისრება. საგარეო საქმეთა მინისტრი **თამარ ბერუჩაშვილი** საერთაშორისო თანამეგობრობის მეტი ყურადღების აუცილებლობაზე საუბრობს:

**„დღეს, პრაქტიკულად, ოკუპირებული ტერიტორიები ეს არის შავი ხვრელები და როგორც გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის ყოფილმა კომისარმა უწოდა ამ ტერიტორიებს, ეს არის 21-ე საუკუნეში ყველაზე უფრო რთულად შეღწევადი ტერიტორიები დედამიწის ზურგზე. ჩვენი ამოცანაა, ვიმუშაოთ აქტიურად, გამოვიყენოთ ყველა საერთაშორისო ფორმატი, მოვახდინოთ საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზაცია, რომ ეს სიტუაცია შეიცვალოს“.**

წარსულზე დაყრდნობით და ასევე, გამომდინარე იქიდან, თუ როგორ აგრესიულ ნაბიჯებს დგამს რუსეთი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში, ნაკლებად სავარაუდო მგონია, რომ რუსეთმა დაუშვას მუდმივი ხასიათის მქონე საერთაშორისო მონიტორინგი ოკუპირებულ ტერიტორიებზე...

ამ პრობლემებიდან გამომდინარე, საქართველო დიდი იმედით მოელის ევროსაბჭოს უმაღლეს კომისარს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, რომელიც წლის ბოლომდე სწორედ მონიტორინგის მიზნით უნდა ეწვიოს საქართველოს და რომლის საგანგებო მისიასაც აქტიურად უჭერს მხარს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მაისში მიღებული გადაწყვეტილება. მინისტრთა მოადგილეების დონეზე მიღებული ეს დოკუმენტი, ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით, რუსეთის ფედერაციას საერთაშორისო შეთანხმებებსა და ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობას შეახსენებს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წამოწყებას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მეტი ყურადღება მიაპყროს ოკუპირებულ ტერიტორიებს, მიესალმება საქართველოს რეფორმების ასოციაციის თანადამფუძნებელი, ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი **პაატა გაფრინდაშვილი**. თუმცა, როგორც მან უთხრა „რადიო თავისუფლებას“, სასურველი შედეგის მიღების თვალსაზრისით, ოპტიმიზმის საფუძველი არ არსებობს:

„წარსულზე დაყრდნობით და ასევე, გამომდინარე იქიდან, თუ როგორ აგრესიულ ნაბიჯებს დგამს რუსეთი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში, ნაკლებად სავარაუდო მგონია, რომ რუსეთმა დაუშვას მუდმივი ხასიათის მქონე საერთაშორისო მონიტორინგი ოკუპირებულ ტერიტორიებზე — ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. რატომ? იმიტომ რომ არც ერთი მოქნილი ნაბიჯი რუსეთს დღემდე არ გადაუდგამს, არანაირი წინაპირობა არ არსებობს იმისა, რომ ეს ნაბიჯი რუსეთმა გადადგას, — გამომდინარე ისევ იქიდან, რომ აფხაზეთიცა და ცხინვალის რეგიონიც რუსეთს დიდ სამხედრო ბანაკებად აქვს ქცეული, სადაც საოკუპაციო ძალა ჰყავს და შეტევითი იარაღიც აქვს განთავსებული“.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას 2 ივნისს თბილისში ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრისას განიხილავდა ეუთოს მორიგე თავმჯდომარე ქვეყნის — სერბიის — პირველი ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ივიცა დაჩიჩი, რომელიც სამხრეთ კავკასიური ტურნეს ფარგლებში ეწვია საქართველოს. მისი თქმით, მსოფლიოს საგანგებო ყურადღება დღეს უკრაინის კონფლიქტისკენ არის მიმართული და ამიტომ, საჭიროა, ვეცადოთ, რომ უყურადღებოდ არ დაგვრჩეს ქვეყნები, რომლებიც ასევე არიან დაზარალებული კონფლიქტების შედეგად. ივიცა დაჩიჩს „კონფლიქტების მოგვარების ერთადერთ საშუალებად“ მხოლოდ დიალოგი მიაჩნია და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა ფორმატსაც ასეთ შესაძლებლობად განიხილავს. მით უმეტეს, რომ გაეროსა და ევროკავშირთან ერთად, ეუთოც ამ მოლაპარაკებათა თანათავმჯდომარეა.

რაც შეეხება ეუთოს სრულმასშტაბიანი მისიის აღდგენის შესაძლებლობებს, ეს საკითხი ჯერ ისევ ჰაერშია გამოკიდებული მას შემდეგ, რაც 2009 წელს რუსეთის ძალისხმებით მისიამ შეწყვიტა საქართველოში მუშაობა. პაატა გაფრინდაშვილი, რომელიც წინა წლებში საქართველოს წარმოადგენდა ეუთოში, მისიის განახლებისთვის პოზიტიურ ძვრებს ვერც ახლა ხედავს. მისი თქმით, რუსეთმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დაებლოკა ეუთოს მონიტორინგი ცხინვალის რეგიონში, რომელიც მან სამხედრო ბაზად აქცია.

**ლელა კუნჭულია,**
**რადიო „თავისუფლება“**

სანამ არჩევნები კარს მოგვადგომია

# რა ბედი ელის მაჟორიტარულ სისტემას?

**საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა და მათთან ერთად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა 2 ივნისს საქართველოს პარლამენტში სპეციალური მიმართვა შეიტანეს. ხელმომწერნი მმართველი გუნდისგან პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებასა და საარჩევნო სისტემის ცვლილებას ითხოვენ. კერძოდ, ისინი მოითხოვენ საარჩევნო სისტემაში მაჟორიტარული კომპონენტის ჩანაცვლებას სამხარეო პროპორციული სისტემით. მიმართვის ტექსტი კი გასულ კვირაში, პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში, გიორგი მარგველაშვილის ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე დაიწერა.**

მიმართვის ერთ-ერთი ხელმომწერი, „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი მამუკა კაციტაძე, საქართველოს პარლამენტის საქმის წარმოების დეპარტამენტის ფანჯარასთან დღის ორი საათისთვის გამოცხადდა თანამოაზრეებთან ერთად და დეპარტამენტის თანამშრომელს 14 პოლიტიკური პარტიისა და რვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ხელმოწერილი მიმართვა გადასცა. როგორც მიმართვაში ვკითხულობთ, „საქართველოში დემოკრატიული კონკურენტუნარიანი და თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს მოქმედი საარჩევნო სისტემის შეცვლა. არსებული საარჩევნო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ხმების პროპორციულად ასახვას მანდატებში, დიდია დაკარგული ხმების რაოდენობა, არ არის დაცული ერთი ხმის თანაბრობის პრინციპი“.




ანუ საქართველოში ამჟამად შერეული სისტემა მოქმედებს, სადაც 73 დეპუტატი 150-წევრიან პარლამენტში მაჟორიტარულ, ერთმანდატიან ოლქში ირჩევა, ხოლო დანარჩენი 77 ადგილი პროპორციული სისტემით ნაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებს შორის, რომლებიც 5%-იან ბარიერს გადალახავენ. მამუკა კაციტაძე დეპუტატებისადმი გაგზავნილი მიმართვის მთავარ არსს განმარტავს: **„მიმართვა დეპუტატებისადმი გულისხმობს მაჟორიტარული სისტემის ჩანაცვლებას სამხარეო პროპორციულით. ამ სისტემის ჩანაცვლება გულისხობს, რომ, ერთი მხრივ, ამომრჩევლის ხმის წონა გათანაბრდება და 5000 ამომრჩეველიც ერთ დეპუტატს რომ ირჩევს და 150 000 ამომრჩეველიც — ერთ დეპუტატს, ასე აღარ იქნება და ამომრჩევლების თანაბარი რაოდენობა აირჩევს თანაბარ წარმომადგენლობას პარლამენტში. ეს ერთი“.**

მეორე, მიმართვის ხელმომწერებს სჯერათ, რომ საკონსტიტუციო ცვლილების შემთხვევაში, მათი თქმით გასწორდება, ის დარღვეული მთავარი პრინციპი, რაც მიღებული ხმებისა და მიღებული მანდატების თანაფარდობას გულისხმობს. სწორედ ამის თაობაზე ამახვილებს ყურადღებას „რადიო თავისუფლებასთან“ საუბარში დეპუტატებისადმი მიმართვის კიდევ ერთი ხელმომწერი, ქრისტიან-დემოკრატი გიორგი ახვლედიანი: **„ეს მოსპობს და დაამთავრებს საუბარს იმაზე, რომ რამდენ პროცენტსაც აიღებენ პარტიები, იმდენი პროცენტი შევა პარლამენტში. რომ ხმის თანაბრობა გასწორდება ერთხელ და სამუდამოდ და მთავარი, ასე ვთქვათ, პრობლემები მოგვარდება ამ კუთხით“,** — ამბობს გიორგი ახვლედიანი.

ანუ, მაგალითად, წინა მოწვევის პარლამენტში, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისას, მაშინდელ მმართველ პარტიას, ნაციონალურ მოძრაობას, ადგილების 79%-ზე მეტი ერგო, მიუხედავად იმისა, რომ პარტიამ ამომრჩეველთა 60%-მდე ხმა მიიღო და ეს იმიტომ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ მაშინ ქვეყნის მასშტაბით ოთხის გარდა ყველა მაჟორიტარულ ოლქში მოიგო არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელ მმართველ გუნდს, ლოგიკურად, არავითარი პრეტენზია არ ჰქონდა არსებულ საარჩევნო სისტემასთან, დღეს ისინიც, სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ერთად დგანან და ცვლილებას მოითხოვენ. ისინი „ქართულ ოცნებას“ იმ საარჩევნო დანაპირებს ახსენებენ, რომელიც სწორედ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმებას გულისხმობდა. მათ შორისაა ნაციონალური მოძრაობის წევრი ლევან თარხნიშვილიც: **„ყველა, გარდა მთავრობისა და გარდა „ქართული ოცნებისა“, თანხმდება იმაზე, რომ მაჟორიტარული სისტემა არ უნდა არსებობდეს“.**

აღსანიშნავია ისიც, რომ უკვე წლებია, ვენეციის კომისია საქართველოს არსებული საარჩევნო სისტემის ცვლილების რეკომენდაციას აძლევს. ამის თაობაზე საუბრობდნენ ჯერ კიდევ გასულ წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციის წევრები. სწორედ ამ რეკომენდაციებს ახსენებს ხელისუფლებას ეკა გიგაური, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ დირექტორი: **„დღევანდელი საარჩევნო სისტემა არანაირ საერთაშორისო სტანდარტებში არ ჯდება. ამაზე ვსაუბრობთ არა მარტო ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციები, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებიც და საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგებნლები. ის მოცემულობა, რა მოცემულობაც გვაქვს ჩვენ იმასთან დაკავშირებით, რომ რეფორმა უნდა ჩატარდეს, ძალიან ბევრი წელია, არსებობს“,** — ამბობს ეკა გიგაური.

შეგახსენებთ იმასაც, რომ მიმდინარე წლის მარტში პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ხელი მოაწერა მემორანდუმს, სადაც ნათქვამია, რომ მოქმედი საარჩევნო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ნების პროპორციულად ასახვას მანდატებში, დიდია ამომრჩეველთა დაკარგული ხმების რაოდენობა და არ არის დაცული ერთი ხმის თანაბრობის პრინციპი. აი, რა განაცხადა მაშინ დავით უსუფაშვილმა: **„ეს არის დაპირება, რაც კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ მივეცით ქართულ საზოგადოებას, რომ ჩვენ გადავდგამდით ნაბიჯებს მეტი დემოკრატიულობისკენ“.**

მიუხედავად პარლამენტის თავმჯდომარის მსგავსი განწყობისა, პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე მიიჩნევს, რომ ეს საკითხი მხოლოდ არასამთავრობო სექტორისა და რამდენიმე პოლიტიკური პარტიის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს და ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებასაც არ გამორიცხავს.

რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელებას, გეტყვით, რომ ამისათვის 76 დეპუტატის თანხმობაა საჭირო. სწორედ დეპუტატებისადმი მიმართვის ხელმომწერნი მიიჩნევენ, რომ კონსტიტუციაში ცვლილებები 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე უნდა განხორციელდეს.

იმ შემთხვევაში, თუკი მმართველი გუნდი ცვლილებებზე უარს იტყვის, ისინი პოლიტიკური ზეწოლის მექანიზმებს გამოიყენებენ. როგორც ქრისტიან-დემოკრატი გიორგი ახვლედიანი „რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას ამბობს, მაშინ, როდესაც საარჩევნო სისტემის შესაცვლელად საზოგადოების კონსოლიდირება მოხდა, „ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება საზოგადოების წნეხის გაძლება. და თუკი მმართველი გუნდი ცვლილებაზე უარს იტყვის, მან უნდა იცოდეს, რომ ის მტკივნეულ ფასს გადაიხდის, რაც „პოლიტიკურ სანაგვეზე“ გაგზავნას გულისხმობს“.

**ნინო თარხნიშვილი**

ფრთხილად!



# დაკონსერვებულ მშენებლობათა განახლება საშიშია

**თბილისის შემოვლითი რკინიგზა, წლობით მშენებარე თუ დაკონსერვებული მეტროსადგურები, უამრავი დაუმთავრებელი ნაგებობა, — სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ დაკონსერვებული მშენებლობის განახლების პროცესი განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს.**

ბოლო დროს ქალაქში დაკონსერვებული მშენებლობების განახლების პროცესი მიმდინარეობს, თუმცა, საეჭვოა, წლების განმავლობაში ატმოსფერული ნალექების ქვეშ უპატრონოდ მიტოვებულ შენობებს კონსტრუქციული სიმდგრადე შეენარჩუნებინოთ. მშენებლები აცხადებენ, რომ დაკონსერვებულ კონსტრუქციებს, მინიმუმ, ზემოთა სართულები უნდა მოენგრეს, რათა ისინი საცხოვრებლად უხიფათო გახდეს.

დაკონსერვებულ ნაგებობებზე რომ არაფერი ვთქვათ, სამუშაოების განახლების შემთხვევაში, განსაკუთრებულ ექსპერტიზას მოითხოვს თბილისის შემოვლითი რკინიგზაც, რომლის მშენებლობაც 2010 წელს დაიწყო. ამ დროისთვის მშენებლობის ნახევარზე მეტი უკვე დასრულებულია და სამასმილიონიანი პროექტის ორი მესამედი თითქმის დახარჯულია. თუმცა, მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს მასშტაბური პროექტი წელიწადნახევრით დაკონსერვდა და გამორიცხული არაა, შემოვლითი რკინიგზის „გამყინვარების ხანა“ ბევრად უფრო დიდხანს გაგრძელდეს.

რაც შეეხება თბილისის მეტროს სამომავლო სადგურებს, რომლებიც წლების განმავლობაში მეტროს მატარებლის ვაგონებში გაკრულ რუკებზეა აღნიშნული, მათი უმეტესობა დღესაც დაკონსერვებულია — „რუსთაველის მეორე ხაზი“, „ზაარბრიუკენის მოედანი“, „ქვემო ელია“, „ზემო ელია“ და „ვაზისუბანი“ . ამ უბნებში მხოლოდ წყლისგან გაწმენდა მიმდინარეობს, რათა ამ სადგურების დატბორვა არ მოხდეს.

„მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ხელმძღვანელი **ანზორ საკანდელიძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ დაკონსერვებული ნაგებობები ექსპერტიზასა და სიფრთხილეს მოითხოვს. პირველ რიგში, აუცილებელი იყო, თავის დროზე კონსტრუქცია ექსპერტულად მომზადებულიყო დაკონსერვებისთვის. ასეთ სამუშაოებს კი, როგორც წესი, არავინ ატარებდა. უბრალოდ, ქაოტურად არის შეწყვეტილი ნაგებობის მშენებლობა იქ, სადაც შეწყდა. ეს მაშინ, როცა არის სამუშაოები, რომელთა შეწყვეტა და გაწყვეტაც ტექნოლოგიურად არ შეიძლება, თორემ შემდეგ ველარ აღადგენ. ამდენად, ცალკეული სართულები მოგვიანებით, ალბათ, მოსახსნელი გახდება.

ექსპერტის თქმით, როცა ახალ ნაგებობას აშენებ, რკინა-ბეტონის სამუშაოები ისეთი რთულია, ბეტონი თუ გაგითავდა და ერთი წუთით მაინც შეწყვიტე სამუშაო, ის უკვე მოსახსნელი ხდება, წლობით კი არა, მეორე დღესაც შეიძლება მოხსნა, რადგან უწყვეტი დაბეტონების პროცესი დარღვეულია.

**„ისევე, როგორც არსებობს მშენებლობის პროექტი, ასევე, არის დაკონსერვების პროექტიც. უფრო მეტიც, თუ დასანგრევია შენობა, მაშინ ნგრევის პროექტიც უნდა არსებობდეს. ყველაფერი წყდება წინასწარ დამუშავებული პროექტის მიხედვით. როგორც წესი, ჩვენთან ამ პირობებს არად დაგიდევენ. არაფრით შეიძლება, ატმოსფერული ნალექების ქვეშ მოქცეულ შენობაზე შემოწმების გარეშე ჩაატარონ სამუშაოები. ამას წინათ მე თვითონ ვუყურებდი ამ საშინელებას. ზაქარიაძეზე ვცხოვრობ და კუთხეში, ასათიანთან ახლოს, თითქმის 15 წელიწადი იყო მიტოვებული შენობა. აქ ჩანდა ასაწყობი კონსტრუქციები, ქარხნებში დამზადებული კოლონები, რიგელები, რომლითაც უკვე ადგილზე ხდებოდა მისი აწყობა. მეორე-მესამე სართული იყო ამოსული და შემდეგ უკვე წყდებოდა. ახლოს მივედი და ვნახე, რომ პირდაპირ განაახლეს მშენებლობა ისე, რომ არც ერთი სართული არ მოუხსნიათ. არადა, ყველა არმატურა ჟანგისგან იყო შეჭმული, მთელი სართული მოსახსნელი იყო. ეს უბედურებაა, როცა ჟანგიან, კოროზირებულ არმატურას შიგნით ჩატოვებ. რა თქმა უნდა, კოროზია შიგნით გრძელდება და შეიძლება, კონსტრუქცია ჩაინგრეს. ყველას ვეუბნები, რომ იშენებთ ამ სახლებს, მიდით და ნახეთ, როგორი არმატურით აშენებთ-თქო“,** — აღნიშნა ანზორ საკანდელიძემ.

მისივე თქმით, გააჩნია, რამდენი ხნის წინ არის დაწყებული და შეჩერებული მშენებლობა. თუ მრავალსართულიანი კარკასია, აუცილებლად უნდა შემოწმდეს მისი სიმტკიცის მდგრადობა, ხომ არა აქვს ნაგებობას დაკარგული ეს მდგრადობა?! გარდა ამისა, 2010 წლიდან თბილისისთვის უკვე 8-ბალიანი სეისმომედეგობის შკალა დაწესდა და, თუ კონსტრუქცია უფრო ნაკლებ სეისმომედეგობაზე იყო გათვლილი, რა თქმა უნდა, მოსახსნელია.

საერთოდაც, ექსპერტის თქმით, თუკი შენობის მიშენება-დაშენებას, რეკონსტრუქციას ან გამაგრებას ახორციელებ, ესეც სეისმომედეგობაზე უნდა იყოს გათვლილი, ძველი და ახალი მშენებლობა ერთად უნდა აკმაყოფილებდეს 8-ბალიან სეისმომედეგობის შკალას.

რაც შეეხება დაკონსერვებულ მეტროსადგურებს, ანზორ საკანდელიძე თვლის, რომ დედამიწა ატმოსფერული ზემოქმედებისგან შედარებით დაცულია, ამდენად, მეტროს ისეთი ხიფათი არ ემუქრება, როგორც ღია ცის ქვეშ, ატმოსფერული ნალექების ქვეშ მოქცეულ რკინა-ბეტონის ნაგებობებს.

**მანანა ნოზაძე**

გადასახადები

# „აბი“, რომელსაც ბიზნესს, ალბათ, არ მისცემენ...

**ბიზნესისა და საგადასახადო სტრუქტურების ურთიერთობები ერთ ადგილას არასოდეს დგას და ეკონომიკური, საფინანსო, კონიუნქტურული, თუ გნებავთ, სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობების მიხედვით იცვლება. საგადასახადო სფეროში, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის მოწესრიგების ერთ-ერთი უმთავრესი და უმძლავრესი საშუალებაა, ბიზნესი ყოველთვის მეტი შეღავათის მიღებას, ამა თუ იმ სახეობის გადასახადის შემცირებას და ა.შ. ცდილობს, საგადასახადო სისტემის უწინარესი მოვალეობა კი სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე ყოფნა და, ამავდროულად, ბიზნესის წარმატებით მოქმედებისა და განვითარებისთვის რეალურად მისაღები გარემოს შექმნაა.**

ამ ცოტა ხნის წინათ ვლაპარაკობდით იმაზე, რომ ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოს საგადასახადო კოდექსში ყოველწლიურად იმდენი შესწორება და დამატება შევიდა, თავადაც იმდენჯერ, ფაქტობრივად, ხელახლა დაიწერა, რომ თვლა აღარ არის. ამ ჯერზე კი საქმე ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან გვაქვს, როგორიცაა დამატებული ღირებულების გადასახადი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ მეწარმეებმა საგადასახადო რეჟიმი გააპროტესტეს, როდესაც დამატებული ღირებულების გადასახადზე ერთწლიანი საშეღავათო პერიოდი გაუქმდა.

ეს თემა კიდევ უფრო მწვავე გახდა და აქტუალობა შარშან ნოემბრიდან შეიძინა, როცა ქვეყანაში სავალუტო კრიზისი დაიწყო, ლარის გაუფასურების გამო კი ეროვნული ეკონომიკის უკლებლივ ყველა დარგს მძიმე დღეები დაუდგა. ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილი დიდი თუ საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, სახელმწიფოსგან ან შეღავათების, ანდა დამატებული ღირებულებების გადასახადის საერთოდ გაუქმება მოითხოვენ.

ცნობილია, რომ საქართველოში, როგორც ყოველდღიური მოხმარების საგნები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სარეცხისა და ჰიგიენის საშუალებები, მედიკამენტები და სამედიცინო აპარატურა, კვების პროდუქტები და უამრავი სხვა სახეობის საქონელი იმპორტირებულია, ამდენად, ქვეყანაში საქონლის შემოზიდვის რომელ სეგმენტში გნებავთ შეფერხება, უმალ დეფიციტს წარმოშობს, რაც ფასების ზრდას გამოიწვევს და მოსახლეობისთვის უმძიმეს შედეგებს მოიტანს. იმპორტიორები კი ჩივიან, რომ ერთ ჯერზე დამატებული ღირებულების დიდი თანხების გადახდა უჭირთ, რის შედეგად პროდუქციის რამდენადმე მნიშვნელოვანი მარაგით შემოტანას ვერ ახერხებენ. სწორედ ესაა ამის მიზეზი, რომ ისინი ქვეყნის მთავრობას დამატებითი ღირებულების გადასახადის გაუქმებას, ანდა საშეღავათო პერიოდის დაწესებას ითხოვენ. ეს მოთხოვნა არა ერთბაშად ყველა მეწარმემ ერთდროულად, არამედ გარკვეული სექტორების რიგმა წარმომადგენლებმა წამოაყენა, თუმცა კი, იგი მხოლოდ უძრავი ქონების კომპანიებს დაუკმაყოფილეს.

აღსანიშნავია, რომ 2006 წლის აგვისტოდან დაწყებული და დღესდღეობითაც დაუსწრებელი სამოქალაქო სამშენებლო ობიექტების მფლობელები, 2015 წლის მარტში, სახელმწიფოს წინაშე წლების მანძილზე წარმოშობილი დავალიანებებისგან, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადისა და „კა-2“ მოსაკრებლისაგან გათავისუფლდნენ. კიდევ ერთი ცვლილება შეეხო მეხორბლეებს, რომლებსაც დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდის საშეღავათო პერიოდი დაუწესდათ, დანარჩენ სექტორებში კი მდგომარეობა, არსებითად, იგივე დარჩა.

ვიდრე თემაზე ლაპარაკს განვაგრძობდეთ, მოკლედ განვმარტავთ, რომ დამატებული ღირებულების გადასახადზე ამდენი მითქმა-მოთქმა იმიტომაა, რომ იგი პროდუქციის იმპორტიორს თუ მწარმოებელს უკან კი უბრუნდება, ოღონდ მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ, თანაც მეწარმემ ის წინასწარვე უნდა გადაიხადოს. ამდენად, მისი საბრუნავი კაპიტალი ყოველთვის მცირდება, ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვნადაც.

ისმება კითხვა: რაოდენ სამართლიანია მეწარმეთა ნაწილის მიერ დამატებული ღირებულების გადასახადის გაუქმების მოთხოვნა, ანდა მასზე საშეღავათო პერიოდის დადგენა?

დოლარის მიმართ ლარის კურსის მნიშვნელოვანი ვარდნის უარყოფითმა შედეგებმა განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო როგორც იმპორტიორები, ისევე ის ადგილობრივი მეწარმეები, რომლებსაც თავიანთი პროდუქციისთვის ნედლეული საზღვარგარეთიდან შემოაქვთ. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ბიზნესმენები დახმარებისთვის ხელისუფლებას მიმართავენ, რომელსაც მხარში ამოდგომა ან გარკვეულ დარგთა სუბსიდირებით, ანდა საგადასახადო ტვირთის შემცირებით შეუძლია. თუმცა კი, ყველაზე გასათვალისწინებელი გარემოება ამ შემთხვევაში ისაა, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის გაუქმება, სახელმწიფო ბიუჯეტში უზარმაზარ „ხვრელს“ გააჩენს, რაც ისეთაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ მთავრობას დამატებით კიდევ უფრო მეტ პრობლემებს წარმოუქმნის, ამდენად ის ამ ნაბიჯზე, სავარაუდოდ, არ წავა. თუმცა კი ისიცაა, რომ, ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, ქვეყანაში ეკონომიკის გადარჩენა, მეწარმეობის ხელშეწყობა და განვითარების პერსპექტივების შენარჩუნება თუ სურს, ადრე თუ გვიან მთავრობას ამ ნაბიჯის გადადგმა მაინც მოუწევს. ამ მიდგომას მართებულობას ლარის კურსის მცოცავი ვარდნა ცხადყოფს, რომელმაც ბოლო დროს სავალალოდ მდგრადი ხასიათი მიიღო. ამის გამო, დამატებული ღირებულების გადასახადის წინასწარ გადახდა, რაც საქონლის დიდი ოდენობის შემთხვევაში, ძალიან სოლიდური თანხებია, მეწარმეებს უწინდელზე უფრო მეტად უჭირთ. აქედან გამომდინარე, ექსპერტების უმეტესობა მაინც იმ აზრზეა, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის გაუქმება არა, მაგრამ მისი შემცირება და საშეღავათო პერიოდის დაწესება აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ჩვენი სამამულო მეწარმეები სრული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდებიან, ვინაიდან საქონელბრუნვა მინიმუმამდეა შემცირებული.




ერთი სიტყვით, მეწარმეები მთავრობას შეჰღაღადებენ, ლარი კი დღითი დღე უფასურდება, სამომხმარებლო ფასები იზრდება, მოსახლეობა დღენიადაგ ღარიბდება, მთავრობა კი, როგორც ჩანს, ეკონომიკური ზრდის ინდიკატორი მაჩვენებლის მნიშვნელოვანი შემცირების ფონზე, არათუ დამატებული ღირებულების გადასახადს გააუქმებს, არამედ მის არც შემცირებას, არც გადასახადის შეღავათიანი პერიოდის დაწესების „აბს“ არ მისცემს ბიზნესს.

**ოთარ ტურაბელიძე**



# „რძალდედამთილიანი“ – პოლიტიკური ამბიციები

**პრეზიდენტისა და დანარჩენების კინკლაობა სხვადასხვა რაკურსით, ზოგჯერ იგივე, დროებით მივიწყებული მოვლენის წამოტივტივებით დღის მთავარ ამბებში, წამყვანი თემა ხდება. პრეზიდენტი მარგველაშვილი ჩრდილში დარჩენას არ აპირებს და კონსტიტუციის ჩამორიგებითა თუ პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებული განცხადებებით თავისი ღირსეული ადგილის დაკავებას ცდილობს. რა პოლიტიკური ქულები და დივიდენდები დააგროვა საქართველოს ისტორიაში პირველმა უუფლებო პრეზიდენტმა, ამ თემაზე ექსპერტი რამაზ საყვარელიძე გვესაუბრება.**

**პრეზიდენტი დიდხანს უკმაყოფილო იყო იმ პირობებით, რომელშიც რეზიდენციაში გადასვლამდე უწევდა მას ყოფნა. ორი თუ სამი ოთახი ჰქონდა, სტუმარს ვერ იღებდა და ა.შ. არადა სტუმრის მიღებაა მისი ძირითადი ფუნქცია. ამას მოჰყვა მარგველაშვილის ეს ნაბიჯი – გადასვლა სხვა რეზიდენციაში, თორემ ამ რეზიდენციის მიმართ ადრინდელი პოლიტიკური დამოკიდებულება ცნობილია. როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ აქ ექნებოდა ის პირობები, რაც არ გააჩნდა კანცელარიის შენობაში, ხოლო შემდეგ, ამ ყველაფერს მოჰყვა გარკვეული ჯიბრი მთავრობის მხრიდან.**

**რამაზ საყვარელიძე:** ალბათ პრეზიდენტის სასახლის თემის აქტუალობა შიდა პოლიტიკური მიზეზებით არის განპირობებული. საგარეო პოლიტიკისთვის ამას ნამდვილად არ აქვს ის მნიშვნელობა, რაც შეეხება შიდა პოლიტიკას, მიმართულება ამ თემას, ალბათ, მისცა ივანიშვილის ცნობილმა შეფასებამ შენობის საკითხზე.

**– მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თუმცა, ამ თემაზე საუბარი არ მთავრდება...**

– ამ განცხადებას აშკარად მოჰყვა გარკვეული შეჯიბრი. თითქოს აღმასრულებელ და საპრეზიდენტო ხელისუფლებაში იმის მტკიცებასა და ძებნაში არიან, ვის უფრო მეტი უფლებები აქვს.

**– მათი უფლებამოსილებები კონსტიტუციით არის განსაზღვრული, საინტერესოა, რაში ეჯიბრებიან და რისი დამტკიცება სურთ პრეზიდენტსა და პრემიერს?**

– ვფიქრობ, აქ ძირითადია ის მომენტი, რომ, მკაფიოდ განსაზღვრული არ არის მათი უფლებამოსილებები კონსტიტუციაში, რომელიც დამუშავდა სააკაშვილის პერიოდში, საკმაოდ ჩქარი ტემპით და საკმაოდ დიდი პოლიტიკური გავლენის ქვეშ, იმ პერიოდის სააკაშვილის ინტერესების შესაბამისად.

სააკაშვილისთვის მაშინაც გაურკვეველი იყო, საით გადაიხრებოდა და ამიტომ რაღაც მნიშვნელოვანი ფუნქციები პრეზიდენტს დაუტოვა, ნაწილი – პრემიერს. დღეისთვის სრულიად გაუგებარია მაგალითად, საგარეო პოლიტიკაში ან სამხედრო საქმეში ვის უფრო მეტი ფუნქციები აქვს, შესაბამის სამინისტროებს თუ პრეზიდენტს. ისიც კი არ ვიცით, რეალურად ვინ არის ქვეყნის პირველი პირი, შესაბამისად, ბუნდოვანია, ვინ არის პირველი ლედი, რაც მედიას ხშირად აინტერესებს.

ამ ყველაფერმა მოამწიფა ის, რომ რაც არ არის გარკვეული კონსტიტუციით, გაარკვიონ უკვე თავიანთი უშუალო მოქმედებით, პრაქტიკული ნაბიჯებით და ა.შ. ამან გამოიწვია ეს ჭიდაობა.

**– ანუ, რეპლიკები, რაც ისმის პრემიერის მხრიდან, პირველობის დამტკიცების მცდელობაა?**

– კონსტიტუცია მიახლოებულია საპარლამენტო მოდელთან. თუ საპარლამენტო მოდელია, მაშინ პირველი პირი და ყველაფრის განმსაზღვრელი უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი. საპრეზიდენტო მოდელი იყო ადრე, მაშინ განმსაზღვრელი იყო პრეზიდენტი. ახლა იძახიან შერეული მოდელიო... შერეული მოდელის მაგალითი გვაქვს საფრანგეთში, სადაც მუდმივი დაპირისპირებაა პრემიერსა და პრეზიდენტს შორის, რადგან ფუნქციები კარგად არ არის გამიჯნული.

რუსეთში პუტინმა იმით აიცილა ეს დაძაბულობა, რომ პრაქტიკულად, მარიონეტად აქცია მედვედევი – ხან პრეზიდენტად ჰყავს და ხან – პრემიერად, რეალურად – თვითონ მართავს.

ფუნქციების არაფორმალური მინიჭება შემდეგ აჩენს ხოლმე არაფორმალურ პროცესებს. პუტინის მაგალითია არაფორმალური გავლენების მკაფიო მაგალითი, თუმცა, მსგავსი მომენტებია საფრანგეთშიც. შერეული მოდელი ყოველთვის აჩენს არაფორმალურ ურთიერთობებს და როდემდე უნდა ვუყუროთ ამ მოდელით გამოწვეულ დაძაბულობას ქვეყანაში, გაუგებარია.

**– საინტერესო დინამიკა აქვს პრეზიდენტის ქმედებებს – თავდაპირველად მან განაცხადა, რომ ავლაბრის რეზიდენციაში განთავსდებოდა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი. შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება და თავად გადავიდა ავლაბრის რეზიდენციაში. როგორ ფიქრობთ, ეს პირველი პირის ამბიციით ნაკარნახევი გადაწყვეტილება იყო თუ იმ საქმისთვის, რასაც აკეთებს, საჭირო იყო ასეთი ნაბიჯი? იმის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტს პრაქტიკულად, თითქმის აღარ აქვს ფუნქციები...**

– პრეზიდენტი აკეთებს იმ ყველაფერს, რაც უწერია კონსტიტუციაში და რაციონალურად ცდილობს, დაიცვას საქართველოს ინტერესები, ამ ურთიერთობებში. უწერია ისიც, რომ უნდა განსაზღვრავდეს საგარეო ურთიერთობებს პრეზიდენტიც და პრემიერიც. მათ შორის ეს ფუნქციები გაყოფილი არ არის, ეს უნდა მოხდეს ურთიერთშეთანხმებულად. გამიჭირდება იმისი თქმა, რომ რომელიმე არ ასრულებს, ან ასრულებს თავის ფუნქციებს. იმიტომ, რომ ეს ფუნქციები არ არის კარგად ჩამოყალიბებული.

რაც შეეხება ამ კონკრეტული შენობის თემას, ამას სხვა წინაპირობაც ჰქონდა – მედიაში გავრცელებული, თუმცა საკმაოდ მკრთალად – პრეზიდენტი დიდხანს უკმაყოფილო იყო იმ პირობებით, რომელშიც რეზიდენციაში გადასვლამდე უწევდა მას ყოფნა. ორი თუ სამი ოთახი ჰქონდა, სტუმარს ვერ იღებდა და ა.შ. არადა სტუმრის მიღებაა მისი ძირითადი ფუნქცია. ამას მოჰყვა მარგველაშვილის ეს ნაბიჯი – გადასვლა სხვა რეზიდენციაში, თორემ ამ რეზიდენციის მიმართ ადრინდელი პოლიტიკური დამოკიდებულება ცნობილია. როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ აქ ექნებოდა ის პირობები, რაც არ გააჩნდა კანცელარიის შენობაში, ხოლო შემდეგ, ამ ყველაფერს მოჰყვა გარკვეული ჯიბრი მთავრობის მხრიდან.

**– პრინციპში, თუ ასეთი მარტივი მიზეზები, ანუ მოუხერხებელი შენობა ჰქონდა ამ ყველაფერს საფუძვლად, უკვე გამზადებულ ათონელის რეზიდენციაში გადასვლას უნდა დათანხმებოდა პრეზიდენტი, თუმცა, მისგან მტკიცე უარი მოვისმინეთ. აქ საკუთარი პრინციპულობის ხაზგასმაც ხომ არ ხდება? მოიპოვებს პოპულარობას, მარგველაშვილი როგორც პრინციპული პოლიტიკოსი?**

– არ ვიცი, ამ ტიპის ნაბიჯები რამდენად პოპულარულს ხდის მარგველაშვილს ან სხვა პოლიტიკოსს, ყველაზე უფრო სასურველი საზოგადოებისთვის იქნებოდა, რომ ამ ორ მხარეს შეეძლოს წყნარად, მაგიდასთან დაჯდომა, კეთილად მოლაპარაკება და ჩვენი საყურებელი არ იყოს მათი დაპირისპირება. წესით, ეს საჯარო პროცესი არ უნდა იყოს.

**– შეიძლება იყოს დაპირისპირების ისეთ მიზეზებზე საუბარი, რომელიც არ ჩანს ზედაპირზე? გაქვთ ვარაუდი, რა შეიძლება ეს იყოს? ვერც ერთს დავაბრალებთ, რომ განათლება და ინტელექტი ღალატობს – მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა პრობლემა რატომ ხდება?**

– კონსტიტუციურ გაუგებრობაზე მოგახსენეთ, რაც შეეხება პიროვნულს, ამ მიზეზის უფრო ყოფითი ანალოგი, მე მგონი, ყველასთვის ცნობილია, – რძალი და დედამთილი თუ გადაწყვეტენ, რომ თვითონ იყონ სამზარეულოში წამყვანი ფიგურა, განწირულნი არიან ჭიდაობისთვის და რძალდედამთილიანის მთელი ინსტიტუტი ამაზეა დამყარებული –როდესაც ფუნქციები არ არის გაყოფილი, მთელი კონფლიქტები ამიტომ ხდება, მიუხედავად იმისა, პიროვნებები როგორები არიან.

**– თუ ეს პირველობისთვის ბრძოლაა, უნდა არსებობდეს ამბიციებიც და სამომავლო პოლიტიკური გეგმებიც. არჩევნებამდეც ბევრი აღარ რჩება... რა პოლიტიკური გეგმები და მომავალი შეიძლება ჰქონდეს მარგველაშვილს?**

– შეიძლება გეგმები არ ჰქონდეს, მაგრამ პრეზიდენტის პოზიცია თვითონ, მარგველაშვილის ძალისხმევით ჩამოყალიბდა, როგორც პარტიებზე მაღლა მდგომი და არა რომელიმე პარტიას მიკუთვნებული ფიგურა. ასეთი ფიგურა ვერ მოასწრებს რომელიმე პარტიასთან შერწყმას და არჩევნებში ვერ ჩაერთვება. ასე რომ, ამ ეტაპზე სხვა პერსპექტივა, გარდა პრეზიდენტობისა, შეუძლებელია. თავადაც აღნიშნა, რა პერსპექტივაზე უნდა ვიზრუნო, პრეზიდენტი ვარო. ასე რომ, არც ამბიცია გამოუხატავს და არც შესაძლებლობა არ აქვს სხვა პერსექტივაზე იფიქროს.

მაგრამ იმის ამბიცია, რომ თუ პრეზიდენტია, ჰქონდეს რაც შეიძლება მეტი ფუქნქცია და ამ ფუნქციების შესაბამისი უფლებები, როგორც ჩანს, აქვს და გასაკვირი იქნებოდა, ეს რომ არ ჰქონოდა. ვინც პოლიტიკაში ნაბიჯს დგამს, მას ამბიციაც უნდა ჰქონდეს.

**– პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ გამორიცხავთ, რომ მან შემოიკრიბოს რაღაც გუნდი და პოლიტიკური მოღვაწეობა გააგრძელოს? ამ ორ წელიწადში მარგველაშვილმა გვაჩვენა, რომ შესაბამისი პოტენციალი აქვს?**

– მგონია, რომ პოტენციალი აქვს. შემოიკრებს თუ თვითონ შეუერთდება რომელიმე გუნდს, ეს უკვე ისეთი დეტალებია, რაც შესაძლოა, ამ გადასახედიდან არ ჩანდეს, მაგრამ ქართული საზოგადოებისთვის დღეს ის, როგორც პოლიტიკოსი საკუთარი იმიჯით არსებობს და მისი დამოკიდებლობაც გამოკვეთილია – ეს უდავოა და როგორ გააგრძელებს სამომავლოდ, მომავალი კონკრეტული სიტუაციებით შეიძლება მსჯელობა.

**– ისე საინტერესოა, რა სარგებელი შეიძლება მიიღონ საზოგადოების თვალში პრემიერმა და პრეზიდენტმა ამ საჯარო კინკლაობით?**

– ამ კინკლაობას, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ქუდი მოეძებნება და ვისაც, მაგალითად, არ მოსწონს „ქართული ოცნება“ დღეს (დღეს, ვამბობ იმიტომ, რომ ეს დამოკიდებულება დინამიკურია და იცვლება), ისინი იტყვიან, რომ პრეზიდენტს ჩაგრავენ. ვინც „ქართული ოცნების“, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის მიმართ დადებითად არის განწყობილი, ის ჩათვლის, რომ მარგველაშვილი არღვევს ჰარმონიას და რაღაც უფრო მეტი უნდა. ამ შემთხვევში საზოგადოებაც არ არის ერთგვარი საიმისოდ, რომ ვილაპარაკოთ ზოგადად, საზოგადოების დამოკიდებულებაზე. არის მესამე, ხალხმრავალი ფრთა, რომელიც ორივე მხარეს გაამტყუნებს ამ კინკლაობის გამო.

**– როდესაც ქვეყანაში საკმაოდ სერიოზული პრობლემებია, ეს დაპირიპირება ცოტა უხერხულად ხომ არ გამოიყურება?**

– უხერხულად და არასერიოზულად შეიძლება გამოიყურებოდეს საზოგადოების იმ, მესამე ნაწილისთვის, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, მაგრამ ვთვლი, რომ მთავარი მიზეზი მაინც კონსტიტუციური ხარვეზებია.

ამაში არის ბრალეულობაც ახალი ხელისუფლებისა, რომელსაც, როგორც კი მოვიდა, უნდა გაესწორებინა ეს ხარვეზები. პრეზიდენტის გადადგომამდე მათ შეეძლოთ, შეეტანათ ის ცვლილებები, რომელიც ასეთ გაუგებრობებს გამორიცხავდა. სამწუხაროდ, ამ არაოპერატიულმა ხელისუფლებამ, სანამ აზრზე მოვიდა, მერე სანამ კოჰაბიტაციის ემოციებში იტრიალა, ვერ მოიცალა ამისათვის და შედეგებს ახლა იმკის.

**– 2016 წლის არჩევნებისთვის როგორ შეიძლება გამოიყენოს მარგველაშვილმა საკუთარი იმიჯი, დამოუკიდებელი პოლიტიკოსისა? პარლამენტი მიდის, პრეზიდენტი – რჩება...**

– მას განცხადებების გაკეთების გარდა სხვა არაფრის საშუალება შიდა პოლიტიკაში არ ექნება, მაგრამ თავისთავად, გარდა ასეთი ზოგადი გავლენისა, თვითონ მარგველაშვილს აქვს პათოსი შემოტანილი პრეზიდენტის ინსტიტუტში, რომ ის არ უნდა იყოს რომელიმე პოლიტიკურ ძალაზე ორიენტირებული. ასე რომ, თუკი მან ამ არჩევნებში რომელიმე პოლიტიკური მხარე დაიჭირა მკაფიოდ, ის ამ, მისივე ძალისხმევით შექმნილ სურათს დაარღვევს, დაკარგავს იმას, რისთვისაც იბრძოდა და მეეჭვება, 2016 წელს მან ასეთი ნაბიჯები გადადგას.

**– შედგა მარგველაშვილი პოლიტიკოსად?**

– რა თქმა უნდა – სწორედ ამ ნაბიჯებით. დასაწყისში ალბათ, მარგველაშვილი სწორედ ამას არკვევდა, იგი იქნებოდა პოლიტიკოსი თუ არა და საკუთარი თავისთვისაც სჭირდებოდა იმის გარკვევა, რომ ის დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურაა.

გავიხსენოთ, რომ ის პოლიტიკაში პირდაპირ პრეზიდენტად შემოვიდა. ამდენად, რაკი დღეს მასზე მსჯელობენ, საზოგადოების კითხვები და შეფასებებიც ხშირად ჩნდება მასთან დაკავშირებით, სხვა არაფერია პოლიტიკური ფიგურა. თუ საზოგადოების დაფიქრების, მისი მხრიდან პოლიტიკური შეფასების საგნად გადაიქცა, ის უკვე პოლიტიკოსია.

**ლალი ზირაქიშვილი**

### ალიან-ჩალიანი

## მარტოდმარტო მთაში სტიქიის წინააღმდეგ

**შსს-ს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა დუშეთის რაიონის მაღალმთიან სოფელ ხახაბოში მცხოვრებ ერთადერთ მოსახლეს, სტიქიის შედეგად დაზარალებულ ბადრი მინდიკაურს საკვები პროდუქტები ჩაუტანეს. დასახლებულ პუნქტს მოწყვეტილი მოქალაქის სურსათით უზრუნველყოფა შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ავიაციის მთავარი სამმართველოს ვერტმფრენის დახმარებით მოხდა.**

**უწყების ცნობით, გაზაფხულზე სტიქიამ ბადრი მინდიკაურის საცხოვრებელი რაიონულ ცენტრს სრულად მოწყვიტა, მოსავალი გაუნადგურა და პირუტყვი დაელუპა. დაზიანდა შვიდკილომეტრიანი გზა, რომელიც აღნიშნულ სოფლამდე მიდიოდა. ბადრი მინდიკაური ზღვის დონიდან 1500 მეტრზე მდებარე სოფელ ხახაბოში, რამდენიმე წელია, მკაცრ პირობებში ცხოვრობს.**

**ინტერპრესი**



№101. ხუთშაბათი, 4 ივნისი, 2015 წელი.

სცეტის მონასტრის წინამძღვარი თავისი სულიერი გზის მაძიებელმა მავანმა ჭაბუკმა მოინახულა.

– დადექი და ერთი წლის განმავლობაში ყველას თითო მონეტა აძლიე, ვინც კი შეურაცხგყოფს, – უთხრა წინამძღვარმა.

და ჭაბუკიც მთელი თორმეტი თვე უსიტყვოდ ყველას თითო მონეტას აძლევდა, ვინც აწყენინებდა. ერთი წლის შემდეგ კი ის ისევ მივიდა აბატთან, ახლა კიდევ რა უნდა ვქნაო.

– ქალაქში წადი და საჭმელი რამე მიყიდე, – მიუთხრო წინამძღვარმა.

თვითონ კი გლახა-მათხოვარსავით აიბრანძა, უყელა, თავს დაუარა და ჭაბუკზე ადრე აღმოჩნდა ქალაქის კარიბჭესთან. ბიჭი როგორც კი გამოჩნდა, მისდგა და არც აცივა, არც აცხელა, კარგა გვარიანად გამოშუპრა.

– დიდება უფალს! – წამოიძახა ჭაბუკმა. – მთელი წელიწადი ყველასთვის ფული უნდა მეხადა, ვინც შეურაცხმყოფდა, ახლა კი, ბოლოს და ბოლოს, უფასოდ ვისმენ დაცინვასაც და ლანძღვა-გინებასაც.

ეს სიტყვები რა შეესმა, აბატი თავისი ნამდვილი სახით წარუდგა ჭაბუკს:

– რახან აუტანელს იტან და სასაცილოდაც არ გყოფნის მაშასადამე, მზად ხარ შემდგომი ნაბიჯისთვის.

მგზავრი ვინმე თავის ორ ქარიან აიართან (მეგობართან) ერთად ნიუ-იორკის ქუჩას მიუყვებოდა.

უცაბედად, სრულიად ჩვეულებრივ, მშვიდ საუბარში, ის ორი აიარი ისე შეკამათდა, კინაღამ დასცხეს ერთმანეთს.

მოგვიანებით – როს ორივენი ცოტა დაცხრნენ – სამივენი იქვე ბარში შევიდნენ, და ერთმა ბოდიში მოუხადა მეორეს, აღელვებისთვის პატიება სთხოვა და დასძინა:

– ჯერ კიდევ ადრევე შევნიშნე, რომ ბევრად ადვილია ახლობელი ადამიანის წყენინება. შენ თუ უცხო, გარეშე პირი იქნებოდი, რასაკვირველია, სულ სხვანაირად მოვიქცეოდი. ახლა კი – სწორედ იმიტომ, რომ შენ უკეთ გესმის ჩემი, ვიდრე ვინმე სხვას, – გავშმაგდი აგრერიგად. ვინ იცის, იქნებ სულაც ადამიანის ბუნებაშია ასეთი რამ.

ვინ იცის.

მაგრამ უნდა ვებრძოლოთ ასეთ რამეს.

ხან ხდება, რომ ძალიან გვინდა ამა თუ იმ ადამიანის დახმარება, მაგრამ ვერაფერს ვერ ვხდებით. ან მდგომარეობა არ გვაძლევს იმ ადამიანთან მიახლოების საშუალებას, ან თავად ეს კაცია ჩაკეტილი თანადგომისა და მხარდაჭერის ყოველგვარი გამოვლინებისთვის.



მოძღვარი უბნობს:

– ბოლოს სიყვარულიღა შემოგვრჩება ხოლმე. როცა სხვა ყველაფერი უკვე უაზრობაა და ამაოა, ჩვენ მაინც შეგვიძლია სიყვარული ისე, რომ არცრა მადლობას ველოდებით, არცრა ნაცვალგებას და არცრა ცვლილებას.

და თუ აგრერიგად მოქმედება გამოგვივა, მაშინ სიყვარულის ენერგია სულ ერთიანად შეცვლის სამყაროს ჩვენ ირგვლივ.

როს ეს ენერგია ჩნდება, ყოველთვის შესაძლებელია სასურველის ხორცშესხმა.

ინგლისელმა პოეტმა ჯონ კიტსმა (1795-1821) ჩინებულად განმარტა პოეზია. სურვილის შემთხვევაში იმავეს თქმა შეიძლება ცხოვრებაზეც. „პოეზიამ უნდა გაგვაკვირვოს არა თავშემაწყენელი სიუხვით და არა იმით, რომ ის სხვა რამ არის. ლექსი ჩვენი მოყვასის გულს ისე უნდა მოხვდეს, თითქოს სიტყვები, რომელთაც წაიკითხავს, იმისივე წარმოთქმულია, თითქოს მან უცებ ის გაიხსენა, რაც ოდესღაც, დრო-ჟამის წყვდიადში, უკვე სულში ჰქონდა დანუსხვილი“.



სადღაც სამოცდაათიანი წლების შუაგულში, სარწმუნოების აქტიური უარყოფის ჟამს, მავანი ყარიბი კაცი ცოლთან და მეგობარ ქალთან ერთად რიო-დე-ჟანეიროში იმყოფებოდა. ისინი ბარში ისხდნენ და სვამდნენ, როცა ყარიბი კაცის ერთი ძველი მეგობარი, ახალგაზრდობის დროინდელი სიგიჟეების ერთგული თანამგზავრი შემოუერთდათ.

– ახლა რას აკეთებ? – ჰკითხა ყარიბმა კაცმა.

– ახლა მღვდელი ვარ, – მიუგო ძველმა მეგობარმა.

ქუჩაში რომ გამოვიდნენ, ყარიბმა კაცმა ერთი უპატრონო ბავშვი დაინახა, რომელიც ღამეებს ტროტუარზე ათენებდა.

– ხედავ, როგორ ზრუნავს იესო ჩვენს სამყაროზე? – ჰკითხა მან.

– რა თქმა უნდა, ვხედავ. იესო ისე მოიქცა, რომ ეგ უსახლკარო ბავშვი თვალში მოგხვედროდა, რათა შენ რამე გეღონა მაგისთვის.



პაულო კოელიო

# მაქთუბი

ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

რამდენიმე ებრაელმა ბრძენმა მსოფლიოში ყოვლის უკეთესი კონსტიტუციის შექმნა გადაწყვიტა. უკეთუ იმ დროის განმავლობაში, რაც აცალფეხებულს წონასწორობის შესანარჩუნებლად დასჭირდება, ვინმე ადამიანის ქცევის მომწესრიგებელ კანონთა ფორმულირებას მოახერხებს, ის „ვინმე“ ბრძენთა ბრძენად იქნება აღიარებულიო.

– უფალი სჯის დამნაშავეებს, – თქვა ერთმა.

ეგ კანონი კი არა, მუქარააო, უთხრეს ამის მთქმელს, და ეს ვარიანტი უარყოფილი იქნა.

ამ დროს წინ წამოდგა რაბინი გილელი, რომელიც აცალფეხებული წონასწორობას იცავდა, და თქვა:

– ნუ უზამ შენს მოყვასს იმას, რაც არ გინდა, რომ შენ გიყონ. ასეთია კანონი. სხვა ყველაფერი იურიდიული კომენტარებია.

და იგი ყოვლადბრძენ კაცად ცნეს.

ბერნარდ შოუმ თავისი მეგობრის, მოქანდაკე ჯ.ეპსტაინის სახლში უზარმაზარი ქვის ლოდი შენიშნა და ჰკითხა:

– რას უპირებ მაგ უზარმაზარ ლოდს?

– არ ვიცი. ჯერ არ გადამიწყვეტია, – მიუგო მოქანდაკემ.

– სხვაგვარად თუ ვიტყვით, შენს შთაგონებას გეგმავ, არა? – გაიკვირვა შოუმ. – მაგრამ ნუთუ არ იცი, რომ ხელოვანი ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს თავისი განზრახვის შესაცვლელად?

– ეგ იმაზეა ნათქვამი, ვისთვისაც თავისი გადაწყვეტილების შეცვლისთვის სულ ხუთგრამიანი ქაღალდის ფურცლის დაჭმუჭნაც საკმარისი იქნებოდა. იმას კი, ვისაც ოცტონიან ლოდთან აქვს საქმე, რამდენადმე სხვაგვარად უხდება მოქმედება, – თქვა ეპსტაინმა.

მოძღვარი უბნობს:

– ყოველმა ჩვენგანმა იცის, საუკეთესოდ როგორ უნდა მოახელკეთილოს თავისი საქმე. მხოლოდ იმან, ვისაც დავალება აქვს მიცემული, იცის, რა სიძნელეებსაც წააწყდება იმ დავალების შესრულებისას.

აბატმა ჟოან პეკენომ ერთხელ გაიფიქრა: „უნდა ავდგე და ანგელოზთ დავემსგავსო. ისინი არცრა საქმეს არ იქმან, მარტოოდენ უფალს უჭვრეტენ თავის დიდებასა შინა“.

და იმავე ღამეს მიატოვა სცეტის მონასტერი, უდაბნოს მიაშურა.

მაგრამ ერთ კვირაში კვლავ სავანეს დაუბრუნდა. ძმა მეკარეს კარზე კაკუნი რომ შეესმა, იკითხა:

– ვინ არის?

– აბატი ჟოანი ვარ, – გაისმა გარედან. – სიყმილისგან გული მიმდის.

– ეგ შეუძლებელია! ძმა ჟოანი უდაბნოშია და ანგელოზდება. მან უკვე აღარ უწყის, შიმშილი რა არის, და აღარც მუშაობა ეჭირვება თავისი ხრწნადი ხორცის სახსნელად.

– მაპატიე ჩემი ამპარტავნება, – თქვა მაშინ ჟოანმა. – ანგელოზნი შეეწევიან ადამიანთ და იმიტომ უჭვრეტენ უფალს თავის დიდებასა შინა. მე უფლის ხილვას ვერ შევძლებ, უკეთუ არ აღვასრულებ ჩემს ყოველდღიურ საქმეს.

და რა გაიგონა ეს სიმდაბლით აღსავსე სიტყვები, მეკარემ ეგრევე განუხვნა კარი.

ადამიანის მიერ გამოგონებულ ნადგურყოფის საშუალებათაგან ყოვლის უფროისად საზარელი და ამასთანავე ყოვლის უფროისად მხდალი სიტყვაა. ცივი იარაღი, როგორც რომ ცეცხლსასროლი, სისხლიან კვალსა ტოვებს.

ბომბის აფეთქებას ნგრევა მოსდევს, სახლები ერთმანეთში იზილება.

უკეთუ ადამიანი მოწამლეს, ბოლოს და ბოლოს, დადგენა შეიძლება, რა შხამი იხმარეს მომწამვლელთ.

სიტყვა კი ისე გაგანადგურებს, არცრა კვალს არა ტოვებს. ბავშვებს მრავალი წლის განმავლობაში მშობლები ზრდიან, მოზრდილთ დაუნდობლად ატარებენ კრიტიკის ქარ-ცეცხლში, ქალებს ნიადაგ ქმრების შენიშვნები და შარიანობა ტანჯავთ. მორწმუნეთ რელიგიას არ აკარებს იმათი ძალისხმევა, ვისაც თავი უფლებამოსილად მიაჩნია, რომ განმარტოს უფლის სიტყვა.

შეეცადე იმის შემჩნევას, სარგებლობ თუ არა შენ ამ იარაღით. შეეცადე იმის შემჩნევას, იყენებენ თუ არა ამ იარაღს შენ წინააღმდეგ. და არც ერთი მიიჩნიო შესაძლებლად, არც მეორე.

უილიამსმა სცადა ფრიად საგულისყურო ვითარების აღწერა: „წარმოვიდგინოთ, რომ ცხოვრებამ იდეალურ სრულყოფილებას მიაღწია. შენ უნაკლო, სრულქმნილი სოფელ-ქვეყნის ბინადარი ხარ, ირგვლივ უზადო, სრულყოფილი ადამიანები გახვევიან, რომელთაც ყველაფერი აქვთ, რაც უნდათ და რაც ესურვილებათ, და ამქვეყნად ყველაფერი ზუსტად ისე და მაშინ ხდება, როგორც და როცა საჭიროა. ამ სოფელ-ქვეყანაში ყველაყა თავზე საყრელად გაქვს, შენ მარტო უნდა მოისურვილო, მარტო უნდა ინებო, ყველაფერი წამისუმალ ჩნდება და ყოველივე შენს ოცნებებსა და შენს წარმოდგენებს ეთანადება. სიცოცხლითაც იმდენ ხანს იცოცხლებ, რამდენ ხანსაც მოიპრიანებ.

და ახლა ისიც წარმოიდგინე, რომ აგრე გადის ასი ანდა ორასი წელიწადი, უკვე კარგად მიმცხოვნებული სუფთა, გაკრიალებულ სკამზე ჯდები, ირგვლივ თვალწარმტაც პეიზაჟს ათვალიერებ და ფიქრობ: „ნამდვილად სევდა მომიღებს ბოლოს! აფსუს, სულიერო მღელვარებავ!“

და ზედდატანებით შენ წინ ამჩნევ წითელ ღილაკს, რომელსაც აწერია: „სიურპრიზი!“



კარგად რომ გაიაზრებ, რასაც შეიძლება რომ ნიშნავდეს ეს სიტყვა, თითს ხომ დააჭერ ღილაკს? რასაკვირველია! და იმწუთასვე აღმოჩნდები შავ გვირაბში, ხოლო იქიდან რომ გამოხვალ, ისევ იმ სრულყოფილებას კარგა გვარიანად დაშორებულ სოფელ-ქვეყანაში ამოყოფ თავს, სადაც ახლა ცხოვრობ“.

ერთ-ერთ ლეგენდაში მოთხრობილია მავანი ბედუინის ამბავი, რომელმა ბედუინმაც ერთი ოაზისიდან მეორეში გადაბარგება გადაწყვიტა. რაც რომ ხაბაკხუბაკი ჰქონდა – ხალიჩები, ჭურჭლეული, ტანსაცმლით სავსე სკივრები – ყველაფერი აქლემს აჰკიდა და იმანაც კარგად გაუძლო ამდენ ბარგიბარხანას. ის იყო გზას უნდა გასდგომოდა, რომ ბედუინს ოდესღაც მამის ნაჩუქარი ლამაზი ლურჯი ფერის ფრთა გაახსენდა. შებრუნდა, გამოიტანა ფრთა და ისიც აქლემს აკიდებულ ბარგი-ბარხანას დაადო! მაგრამ აქლემმა უცებ ჩაიჩოქა, წაიქცა და მოკვდა – ჩანს, ტვირთი ნამეტნავად დაუმძიმდა. „ჩემმა აქლემმა ჩიტის ფრთის სიმძიმეს ვეღარ გაუძლო“, – გაიფიქრა ბედუინმა.

ხან ჩვენც ასევე ვექცევით ჩვენს ახლობელთ, აუცილებლად არ მივიჩნევთ და არ ვითვალისწინებთ რა იმას, რომ ჩვენგან ზედმეტად ხუმრობით ნათქვამი სიტყვა ვაითუ იმ ბოლო წვეთად იქცეს, რომელიც ავად გაალიცლიცებს იმის მოთმინების ფიალას.

ხან ისერიგად მივეჩვევით ხოლმე კინოში ნახულს, რომ, ბოლოს და ბოლოს, გვავიწყდება, სინამდვილეში როგორი იყო საქმის ვითარება. – უთხრა მავანმა ყარიბს, რომელიც მაიამის ნავსადგურს ათვალიერებდა. – გახსოვთ ფილმი „ათი მცნება?“

– რა თქმა უნდა. მოსე, რომელსაც ჩარლტონ ხესტონი თამაშობს, აღმართავს თავის კვერთხს, მეწამული ზღვის წყალი განიპობა და ისრაელელი ხალხი „ვითარცა მშრალზე“, ისე გაივლის, – მიუგო ყარიბმა.

– საქმეც ეგ არის, რომ წმინდა წერილში სხვაგვარად თქმულია. იქ ღმერთი უბრძანებს მოსეს: „უთხარი ისრაელის შვილთ, რათა ვლონ...“ და მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ისინი წინ დაიძრნენ, მოსემ აღმართა თავისი კვერთხი, და წითელი ზღვის წყალი განიპო.

რამეთუ ოდენ გზის დასაძლევად მზადყოფნა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ აღმოვაჩინოთ ეს გზა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 89-100

◎ „ორაზროვანი დანაკარგები“

# „დედაბერი მიმჯდარა ბუხრის ახლოს კუთხეში“...



**სსრკ-დან საქართველოს გამოსვლის შემდეგ უზომოდ გახშირდა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა რაოდენობა. ძირითადად, ეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების პერიოდში გახდა თვალშისაცემი. სამხედრო ანალიტიკოსების დასკვნით, შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულ (სამხედრო, სამოქალაქო) პირთა რაოდენობა ქართული, აფხაზური, ოსური მხრიდან 3 ათას ადამიანს აღემატება.**

მდგომარეობას, რომელშიც დაკარგულ პირთა ოჯახები იმყოფებიან, ამერიკელმა ფსიქოლოგმა პოლინ ბოსმა „ორაზროვანი დანაკარგი“ უწოდა. მისი განმარტებით, ორაზროვანი დანაკარგი არის გაურკვეველი დანაკარგის ვითარება, რაც გამოწვეულია ოჯახების მიერ ახლობელი ადამიანის ხვედრის არცოდნით. ამგვარი გაურკვევლობის გამო ორაზროვანი დანაკარგი დანაკარგებს შორის ყველაზე მძიმეა. ამ ტიპის დანაკარგებს არა აქვთ დასასრული, რადგანაც არ არსებობს რაიმე დამადასტურებელი ფაქტი – ადამიანი ცოცხალია თუ გარდაცვლილი, ახლობლის გაუჩინარებით გამოწვეული ტკივილი განსხვავდება ომით გამოწვეული სხვა არანაკლებ მძიმე ტკივილისაგან. ეს ოჯახები მუდმივ ძიებაში არიან. გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა იწვევს პრობლემებს (ფსიქოლოგიური, ფსიქიკური, სამედიცინო, ეკონომიკური, იურიდიული, სულიერი, სოციალური) როგორც ინდივიდუალურ, ასევე ოჯახებისა და საზოგადოების დონეზე, რაც ამ კატეგორიის ოჯახების მდგომარეობას განსაკუთრებულად ართულებს, – ამტკიცებს პროფესორი პოლინ ბოსი.

2003 წელს ჟენევაში ჩატარებულმა საერთაშორისო კონფერენციამ რეკომენდაციები შეიმუშავა, რომელთა საფუძველზე 2007-08 წ.წ. საერთაშორისო „წითელმა ჯვარმა“ დაიწყო სამხრეთ კავკასიაში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახების საჭიროების მოკვლევა, ამბობს დაკარგულთა ოჯახების თანადგომის პროგრამის (საქართველოში) ხელმძღვანელი მაია ალხაზიშვილი.

საერთაშორისო „წითელი ჯვრის“ ამ პრობლემით დაინტერესებას მიესალმებიან ქართველი ფსიქოლოგები, იურისტები, ანალიტიკოსები, სპეციალისტები, ექსპერტები. მათი დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში, გლობალური ინტერესებიდან გამომდინარე, აქცენტი აღებულია შეიარაღებული კონფლიქტების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო და სამოქალაქო პირთა ოჯახების თანადგომაზე. თუმცა, აღნიშნავენ, რომ საქართველოს რეალობაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მშვიდობიანობის პერიოდში გაუჩინარებულ პირთა და მათი ოჯახების პრობლემებზეც ღირს დაფიქრება.

ანალიტიკოსი დავით ყუფარაშვილის ინფორმაციით, ჩვენში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა პრობლემა მთელი სიმწვავით დადგა ხელისუფლებაში შეიარაღებული ფორმირებების მოსვლის შემდეგ. დაიწყო ანგარიშსწორებები. აქ პოლიტიკური შეხედულებები ნაკლებად ფიგურირებდა. ძირითადი გავლენის სფეროების გადანაწილება, წილებში ჩაჯდომა, ბიზნესინტერესები იყო, პანტაპუნტით იკარგებოდნენ ახალგაზრდები. პოლიცია დემორალიზებული იყო. მრავალი დაკარგული უბრალოდ მოკლული გახლდათ.

მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ შევარდნაძის მთავრობა იძულებული გახდა, შსს-ში შეექმნა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა დაძებნის სპეციალური სამმართველო. მისი ყოფილი თანამშრომლის, ამჟამად თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი ნუგზარ წაქაძის განმარტებით, თავიდან სამმართველოს მუშაობა მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციისა და სტატისტიკის შეგროვებით შემოიფარგლებოდა, რადგანაც ქვეყანას „მხედრიონი“ და მისი ლიდერი განაგებდნენ. მაგრამ, როგორც კი ვითარება შეიცვალა და სამართალდამცავ სტრუქტურებს თავიანთი პროფესიული მოვალეობების განხორციელების საშუალება და უფლებები მიეცათ, ერთი მეორის მიყოლებით გაიხსნა მრავალი იქამდე უგზო-უკვლოდ დაკარგულის საქმე. საქართველოს ყველა რეგიონში აღმოჩნდნენ ვენახში, მთის ნაპრალში, ჩაის პლანტაციაში, ბეტონის ავზში ჩამარხული გვამები. აქვე თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი განგვიმარტავს, რომ კანონით, ოჯახიდან შესულ განცხადებაზე გაუჩინარებულ პირთან დაკავშირებით, ცხადდება ძებნა, ხოლო 10 წლის გასვლის შემდეგ მას ენიჭება უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის სტატუსი.

აქვე წაქაძე მეტად საინტერესო გარემოებებზე საუბრობს: მის განმარტებით, ამ კუთხით საქმეები ნელ-ნელა მიიწევდა წინ, ვიდრე „ვარდების რევოლუციამდე“. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ შსს-ს კუთხით უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საქმეები თაროზე შემოდეს, ან საერთოდ დახურეს. **ყოფილი ოპერატიული თანამშრომელი ამის მიზეზად ყოფილი „მხედრიონელების“, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ლიდერთა დიდი ნაწილის „ნაციონალური მოძრაობის“ ზონდერ ბრიგადებში გადაბარგებას მიიჩნევს**. ნაცნობია მათი ხელწერაც – ობიექტისადმი (მსხვერპლისადმი) „ანგარიშის“ უმოწყალოდ გასწორება. დღეს ბევრს ლაპარაკობენ სამართლიანობის აღდგენაზე. მაგრამ სამართლიანობაა, როდესაც ყოფილი ხელსისხლიანი შემსრულებლები წინა ხელისუფლებისადმი სამსახურისათვის დღეს თეთრ ფრაკებში არიან გამოწყობილნი და გვევლინებიან ბიზნესმენებად, მოწილეებად და თვით პოლიტიკოსებადაც კი, ამბობს ჩვენი ინტერვიუერი და მიიჩნევს, რომ მათთან სწორად წარმართული საგამოძიებო ქმედებების შედეგად, თუნდაც ამდენი ხნის შემდეგ, შესაძლებელი გახდება რამდენიმე გაუჩინარებული ადამიანის ადგილსამყოფლის დადგენა, რაც მათი ოჯახებისა და ახლობლებისათვის რაღაც შვების მომტანი იქნება.

ქვეყნიდან უკანონოდ გასვლის ფაქტებში ადანაშაულებს სამართალდამცავ სტრუქტურებს ფსიქოლოგი ნინო შერაზადაშვილი. იგი ამბობს, რომ უმუშევრობის პირობებში, შემდგომ კი მასობრივი რეპრესიების, უიმედობის, უპერსპექტივობის ეპოქაში, მრავალი ჩვენი თანამემამულე ცდილობდა სამშობლოდან გაღწევას. ზოგი ამას ლეგალურად აღწევდა, ზოგიც – შემოვლითი გზებით. ამ უკანასკნელთ თან სდევდათ დეპორტაციები, ციხეები. მაგრამ მაინც ეპოტინებოდნენ უცხო მიწას. ფსიქოლოგს აქვს ინფორმაციები, რომ არალეგალები ზოგჯერ გარდაცვლილთა საბუთებითაც გასულან. დანაშაულის ჩადენის, ან უარეს შემთხვევაში, გარდაცვალებისას საკონსულოები ვერ ადასტურებენ პირის საქართველოს მოქალაქეობას. მის ვინაობას ხშირად ვერც ქართული დიასპორის წევრები ადასტურებენ. ან არ იციან, ან თავადვე არიან არალეგალები და ეშინიათ დეპორტაციისა. შერაზადაშვილი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ მსგავსი ფაქტების მოწმე თავად გამხდარა წინა ხელისუფლების დროს, როდესაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი უკვე იმიგრებულებს სამშობლოში ეპატიჟებოდნენ, ადგილობრივებს კი თვალი გაქცევისაკენ ეჭირათ.

ერთ-ერთი არალეგალის ოჯახის წევრს ჩვენი ინტერვიუერისათვის შეუჩივლია, მისი საფლავი რომ ვიცოდე, დავიტირებ, ერთი ძვალიც რომ იყოსო. მეორეს, უკვე ხანდაზმულ ქალბატონს უთქვამს, 6 წელია, სახლიდან შორს არ გავდივარ, რომ მოვიდეს სახლი ცარიელი ხომ არ დახვდებაო.

საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტმა თბილისში 27-28 მაისს სასტუმრო „ბეტს“-ში ჩაატარა კონფერენცია სახელწოდებით „დაკარგულთა ოჯახების თანადგომა ორაზროვანი დანაკარგის პირობებში. მასში მრავალი ქვეყნის ექსპერტები მონაწილეობდნენ. დაისახა ამ კატეგორიის ოჯახებისადმი აკადემიური წრეების ცოდნის მიწოდებისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების გეგმები.

**ჩვენი ექსპერტები კი მიიჩნევენ, რომ გარდა „ორაზროვანი დანაკარგებისა“, საქართველოს მოსახლეობას მშვიდობიან პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა პრობლემებიც აწუხებს და მისი მკვდარი წერტილიდან დაძვრის საკითხში ყველა პროფესიის ადამიანის ჩაბმაა აუცილებელი, რასაკვირველია, სახელმწიფოს ხელშეწყობით.**

**ზაზა ბილიხოძე**

◎ სნეული ლარი

# ...განკურნებას კი დრო სჭირდება!

**ძნელი წარმოსადგენია საზოგადოებაში ისეთი კაცი იყოს, ვისაც მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროცესები არ აინტერესებდეს და არ ეხებოდეს, რადგან ისინი უკლებლივ ყველა ფენის წარმომადგენელზე ახდენს ზეგავლენას, მისი სტატუსისა და ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად. ამიტომაცაა, რომ აგერ უკვე მერამდენე თვის მანძილზე ლარის კურსის ვარდნა საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, მის შედეგებს კი თითოეული ჩვენგანი, რომ იტყვიან, საკუთარ ჯიბეზე გრძნობს.**

ყველა სხვა შედეგს თავი რომც დავანებოთ, დოლარის მიმართ ლარის კურსის ბოლოდროინდელი შემცირების შედეგად, ქვეყნის ეკონომიკამ და მოსახლეობამ 2015 წლის მარტო განვლილ ხუთ თვეში დაახლოებით 500 მილიონი დოლარი დაკარგა. ცხადია, რომ ამდენი ფული ქვეყანას ერთბაშად არ დაჰკლებია, მაგრამ ექსპორტის შემცირებით და, შესაბამისად, საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს გაზრდით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის კლებით, ასევე საქართველოში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან კერძო ფულადი გზავნილების ნაკადის განახევრებით, ზოგიერთი სხვა წყაროს „დაშრეტით“, როგორც სახელმწიფო ხაზინას, ასევე ეკონომიკურ სუბიექტებსა და მოსახლეობას ერთგვარად ზოგადი გაანგარიშებით, სწორედ ამდენი, შესაძლოა, მეტიც, ფული დააკლდა.

ამდენად, თუკი ლარის დევალვაციის მიზეზებს განვიხილავთ, ექსპერტთა საერთო აზრით, განმპირობებელ საგარეო ფაქტორებს შორის, უწინარესად, აღსანიშნავია **დოლარის მასობრივი გამყარება მსოფლიოს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტებთან, შავი ზღვისპირეთის რეგიონისთვის უმნიშვნელოვანესი სამოქალაქო დაპირისპირება, რომლის ინსპირატორი რუსეთია, ასევე მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემდგომი შოკური მოვლენები, რაზეც უფრო დაწვრილებით ლაპარაკი ქვემოთ გვექნება.**

ლარის გაუფასურება 2014 წლის ნოემბრიდან დაიწყო, რის შიდა მიზეზებს თუ განვიხილავთ, უწინარესად, უნდა ითქვას, რომ მაშინ ექსპორტი წლიური დაახლოებით 35 პროცენტით, დეკემბერში კი 20 პროცენტზე მეტით შემცირდა. შესაბამისად, მოიმატა იმპორტმა და ეს პროცესები წელსაც გაგრძელდა. ასევე შემცირდა ქვეყანაში უცხოელ ტურისტთა რიცხვი, შედეგად საგრძნობლად იკლო მიღებულმა შემოსავლებმა, ვალუტის შემოდინებამ. **ექსპერტთა კრიტიკის საგანია ეროვნული ბანკის მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, ასევე ინვესტიციების მოზიდვის მოლოდინის პროცესი, ზოგიერთი სხვა ასპექტი**.

ისინი აცხადებენ, რომ, როგორც ეროვნულმა ბანკმა, ასევე მთავრობამ საფინანსო ბაზარზე განვითარებულ ნეგატიურ პროცესებზე რეაგირება დაიგვიანეს. კონკრეტულად, ლაპარაკია **საპრივატიზაციო პროცესების დაყოვნებაზე, უცხოური ტურიზმის ინტენსივობის და ექსპორტის გაზრდაზე, ხაზს უსვამენ იმასაც, რომ ლარის ერთბაშად „განკურნებას“ არავინ არ უნდა ელოდოს, ამდენად, ზრუნვა მხოლოდ მისი შოკური მდგომარეობიდან გამოყვანასა და საერთო მდგომარეობის გარკვეულწილად შემსუბუქებაზე შეიძლება იყოს**.

„რეცეპტები“, თავისთავად, ლარის „ფეხზე წამოსაყენებლად“ საჭირო ეფექტიანი საშუალებებია, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს იმდენად დიდი ხნის მანძილზე განსახორციელებელი ღონისძიებებია, რომ, უნებლიედ, ვირისა და იონჯის ცნობილი გამოთქმა გაგახსენდება კაცს...

არადა, ლარის კურსის, რაც შეიძლება მეტად და უკიდურესად გამყარება უაღრესად საშური საქმეა ქვეყნის მთელი მოსახლეობისთვის, მაგრამ **განსაკუთრებით იმ ნახევარი მილიონი მოქალაქისთვის, ვისაც კომერციული ბანკებიდან სესხები დოლარებით აქვთ გამოტანილი და რომელთა პროცენტის გასტუმრება ყოველთვიურად რამდენიმე ასეული ლარით გაძვირდა**. აქვე აუცილებლად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის დარად თავად კომერციულმა ბანკებმაც იზარალეს იმ მარტივი მიზეზით, რომ მათი მრავალი კლიენტი გადახდისუუნარო გახდა.

ამასთან, ლარის გაუფასურებისა და მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური პირობების მიზეზით, **საერთაშორისო საბანკო რეიტინგებში საქართველოს პოზიციები ბოლო დროს ჩამოქვეითდა, რაც, ბუნებრივია, საინვესტიციო გარემოზეც უარყოფითად აისახა**. თუ რამდენად გამოასწორა ეს მდგომარეობა მაისის შუა რიცხვებში თბილისში გამართულმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მმართველთა ყოველწლიურმა შეხვედრამ და უაღრესად წარმომადგენლობითმა ბიზნეს-ფორუმმა, ეს ახლო მომავალში გამოჩნდება.

მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ამძიმებს ისიც, რომ ეკონომიკური ზრდის ინდიკატორული 5 პროცენტის ნაცვლად, წლის მიწურულისთვის მან, შესაძლოა, მხოლოდ 2,0-2,3 პროცენტს მიაღწიოს, რაც ჩვენი არც თუ მძლავრი ეკონომიკისთვის ძალიან ცოტაა, თუმცა კი, ცხადია, ზრდა მაინც ზრდად რჩება და რეგრესს ულაპარაკოდ სჯობს.

ყველაფერ ამასთან ერთად, **გასათვალისწინებელია ისიც, რომ საყოველთაო სავალუტო კრიზისის გათვალისწინებით, ექსპერტთა ერთი ნაწილი მოსახლეობისთვის მოვლენათა კიდევ უფრო არადამაიმედებელი სცენარით განვითარებას ვარაუდობს, რასაც ფასების საყოველთაო მატებით და შემდგომ ამ პროცესის გაგრძელებით ხსნის. ხალხისთვის არც თუ ადვილად გასამკლავებელ პროცესთა ზოგიერთ მიზეზზე ლაპარაკი მომდევნო წერილში გვექნება.**

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ კაცი

# 70 წლის მგზავნილი

– ოთარ, მთაში სიარული გიყვარს! – შეეკითხა თანაკურსელი.

– მთაში სიარული როგორ არ მიყვარს. მე და ჩემი ძმა სულ მთაში ვამზადებთ შეშას ზამთრისთვის, თივას – საქონლისთვის, ძალიან მიყვარს მთა... კიდევ რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ მეგობარმა შეაწყვეტინა.

– იცი, ოთარ, ზეგ მესტიაში გვინდა წავიდეთ ჩვენი კურსელები. პირველი ალპინისტური ლაშქრობა გვინდა მოვაწყოთ. ხომ არ წამოხვიდოდი ჩვენთან. იცი, რა მამაცური რამ არის ალპინიზმი?

– როგორ არ ვიცი. ვის არ უყვარს ჩვენი ალპინისტები, როგორ შეიძლება არ იცნობდე და-ძმა ჯაფარიძეებს. არ მინახავს ისინი, მაგრამ ძალიან მიყვარან!

– ჰოდა, თუ შენც გინდა გახდე სახელგანთქმული ალპინისტი, ზეგისთვის მოემზადე.

რა დაავიწყებს ოთარს თავის იმ პირველ ალპინისტურ ლაშქრობას, მესტიას, მის თავზე თეთრი ფაფახებივით წამოხურული თეთნულდითა და უშბით.

ადვილი სათქმელია, ახვიდე თეთნულდზე, რომელიც არც ძალიან მაღალია და, პირველი შეხედვით, არც ძალიან ძნელი ასასვლელი უნდა იყოს. მაგრამ ეს იმათი წარმოდგენაა, ვისაც არასოდეს „უფოფხია“ ზედაპირწაყინულ თოვლის „ასფალტზე“.

მაგრამ ოთარმა ეს შეძლო. რა ადვილი სათქმელია, „შეძლოო“. იმდენი ტანჯვა და წამება მას ჯერ არასოდეს განუცდია. მიუხედავად იმისა, რომ მთებშიც ბევრი უვლია, თოვლიანი კილომეტრებიც უთვალავჯერ გაუვლია. ფეხშიშველიც ბევრჯერ წასულა ზამთარში სკოლაში, მეზობელ სოფელში, რომ იყო.

...მიდიოდნენ არა ერთად, ან ერთი-მეორის მიყოლებით, არამედ ცალ-ცალკე, ერთმანეთს ვერც ხედავდნენ. დღესაც ვერ აუხსნია – რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ერთმანეთის იმედი არ ჰქონოდათ და დამოუკიდებლად აეთვისებინათ მთამსვლელობის სიძნელეები და თავისებურებანი.

როცა მწვერვალზე ავიდა, მიიხედ-მოიხედა. თავისზე ზევით ვერც ვერავინ და ვერც აღარაფერი შენიშნა, მაშინ იგრძნო, რომ თეთნულდის მწვერვალი დაიპყრო. შედგა და ფეხის წვერებზეც აიწია, ყველაზე მაღლა რომ გამოჩენილიყო.

სიამაყით გახედა მზეს – ის ჩადიოდა და მისი სხივები – ჯერ ოქრო-ცისარტყელას ფერებით, შემდეგ კი მთლად რომ დაკარგა ეს ფერები, უეცრად აღმოაჩინა, რომ დაღამდა ერთბაშად. აღარაფერი აღარ ჩანდა. შეეშინდა კიდეც – არ გინდა ამ სიბნელეში ამ სიმაღლიდან დაბლა ჩასვლა, როდესაც იცი თოვლის ამ ყინულოვანი ზედაპირის თვისებები და ვერც ვერაფერს ხედავ. რა იცი, საით მოგისვრის ეს სრიალა, უმსხვრევი ზედაპირი.

შეეშინდა, როგორ არა. ერთხანს ისიც გადაწყვიტა, აქვე იქნებ როგორმე ამოვთხარო თოვლის ორმო და შიგ ჩავძვრეო, მაგრამ უმალვე გადაიფიქრა. ეს შეუძლებლად მოეჩვენა და ასეც იყო. მაგრამ...

ჯიბიდან დანა ამოიღო – მის ტარებას იმ ჯგუფში ყველას ავალდებულებდნენ – თითქმის თვალდახუჭულმა ამოჭრა ყინულის წვერზე პატარა ორმო. შემდეგ უბის წიგნაკიდან ფურცელი ამოხია და, ზედ ბრმად დაწერა:

„აქ ვიყავი 1950 წლის 25 ივლისს. ოთარ კაპანაძე“. თუმცა, ვერც ერთ სტრიქონს და ვერც ერთ სიტყვას ვერ არჩევდა.

გაკეცა ეს ქაღალდი რამდენჯერმე, ცხვირსახოცი შემოახვია, ჩადო სავარაუდო ორმოში და ზედ თოვლი მიაყარა.

აი, მერე იყო, რაც იყო. ნელ-ნელა ჯოხზე დაყრდნობით დაიწყო დაშვება. ერთი-ორი ნაბიჯის შემდეგ ფეხი აუსრიალდა და ელვისებურად, ტრიალ-ტრიალით, ხან თავქვე და ხან თავზევით დაქანდა. აღარაფერი ახსოვდა. გონზე მაშინ მოვიდა, როდესაც სადღაც მდინარეში ჩავარდა.

ყველაფერი სტკიოდა, წყალიც ისეთი ცივი აღმოჩნდა, თავი საყინულეში ეგონა. და, მადლობა ღმერთს, სწორედ ამან მოიყვანა გონს.

გაიძრო ტანსაცმელი დიდი გაჭირვებით, გაწურა და ისევ ჩაიცვა. შვება იგრძნო.

მაგრამ საით წავიდეს ამ უკუნეთ ღამეში?

ფეხქვეშ თოვლი და ყინული აღარ იყო, მაგრამ მაინც ძალიან სციოდა. ერთი-ორი ნაბიჯი კიდევ გადადგა და, მოეჩვენა, რომ მიწაზე იდგა. თავქვე დაუყვა, სადღაც შორს შუქს მოკრა თვალი.

კეთილი კაცი აღმოჩნდა სახლის პატრონი, მიიღო, ავახშმა, დააწვინა. დილამდე არ გაუხელია თვალი.

მას შემდეგ იყო მრავალი მწვერვალი კავკასიონზე, იყო ალპებშიც, ოღონდ ჯომოლუნგმამდე არ მიუღწევია. მისი დაპყრობა ხომ მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს – თუმცა, გულში ფარულად სულ მასზე ოცნებობდა...

გავიდა ათეულობით წლები. ვიღას ახსოვდა მწვერვალები და ალპინიზმი. ახლა, ოთხმოცს კარგა ხნით გადაცილებული, იხსენებს ხოლმე ფიქრებში თავის ალპინისტურ თავგადასავლებს და სიამაყით ევსება გული. ნატრობს, როგორ არ ნატრობს იმ წლებს, მაგრამ... სახლიდან გაზეთის საყიდლად გამოსვლაც უჭირს, კიოსკი კი მისი სახლიდან სულ რაღაც ორმოც-ორმოცდაათ ნაბიჯზეა. ამას კვირაში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ თუ ახერხებს, გზაში რამდენჯერმე შესვენებით.

ამ სამი დღის წინათ მეგობარმა გამოუარა. გაიხსენეს ახალგაზრდობა, პირველი ლაშქრობები ყინულოვან მწვერვალებზე და... ხმამაღალი ამოოხვრები.

– ეჰ, ერთხელ მაინც შემახედა კიდევ იმ მწვერვალებს, თუნდაც შორიდან, – თქვა ოთარმა.

– ოცნებასაც რეალური საფუძველი სჭირდება, ჩემო ოთარ, უნდა ყველაფერს შევეჩვიოთ...

ერთი კვირის შემდეგ იმ მეგობარმა დაურეკა.

– იცი, ოთარ, ჩემმა ძმისწულმა შემომთავაზა, თუ გინდა, მესტიაში წაგიყვან, იქ ჩემი მანქანით მივდივარ მივლინებაშიო. ხომ არ წავყოლოდით?! შევხედავთ ნაცნობ მთებსა და გორაკებს.



– რაღა დროს ჩემი მესტიაა, ჩემო კარგო. ცალი ფეხი სამარეში მიდგას...

დაიყოლია ოთარი თავისმა მეგობარმა. თუ გინდა, მანქანიდანაც ნუ გადმოვალთ, უბრალოდ გავიხსენოთ სიჭაბუკეო.

მესტია თითქმის არ შეცვლილიყო, თქვენ წარმოიდგინეთ, უშბა და თეთნულდიც თავის ადგილზე იყვნენ.

დიდი ხანია ასეთი სიხარული და ბედნიერება აღარ განუცდიათ. ხოლო როდესაც ძმისწულის მეგობართან წაივახშმეს, არც ოთარს და არც მის მეგობარს დაწოლაც კი აღარ უნდოდათ – ასეთ სასიამოვნო დღეს, ჰაერს, ბუნებას როდისღა გადავეყრებითო. მაგრამ დაწოლის უმალვე ისე მიეძინათ, გვერდზეც არ გადაბრუნებულან.

ამ დილით კი მოხდა ისეთი რამ, რამაც თითქმის მთელი მესტია ფეხზე დააყენა.

ოთარი ადგილზე არ დახვდათ. ჯერ ოჯახის წევრები შეწუხდნენ – იმ მიდამოებში ვერსად ვერ აღმოაჩინეს, მერე მეზობლები და ნათესავ-მეგობრები ჩართეს საქმეში. მაგრამ ამაოდ. შიშის გარდა, გაოცებულებიც იყვნენ – ისედაც ძლივს დადის, სად უნდა წასულიყოო. ავტობუსებიც მესტიიდან ასე ადრე არ გადიოდა.

თბილისში ოთარის ოჯახში დარეკვისაც ერიდებოდათ, ამაო განგაში არ გამოგვივიდესო. ისე კი თითქმის არც ერთი ხე და ბუჩქი არ დაუტოვებიათ, რომ არ დაეთვალიერებინოთ. არც აეროპორტიდან გაფრენილან თვითმფრინავები.

რაიონის რადიოც ჩაერთო საქმეში. მაგრამ ამაოდ. ისეთი ვერსიაც არ გამოირიცხა, რომ ღამით გარეთ გამოვიდა, თავს ნადირი დაესხა და მისგან აღარაფერი დარჩა.

სხვა გზა არ იყო, თბილისსაც უნდა დაკავშირებოდნენ.

სამხრობა იქნებოდა, მასპინძლის ეზოში რომ შევიდა. მიცვივდნენ, დაუწყეს გამოკითხვა.

ის კი მხოლოდ იღიმებოდა და წყნარი ხმით, თითქოს თავისთავს ელაპარაკებაო, იმეორებდა:

– მე მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ. აი, შეხედეთ, სამოცდაათი წლის წინანდელი წერილი მივიღე.

და თავს ზევით ფურცელს აფრიალებდა.

მასზე კი, უსწორ-მასწორო სტრიქონსა და ასოებს შორის, თუ კარგად დაუკვირდებოდი, ამოიკითხავდი:

„აქ ვიყავი 1950 წლის 25 ივლისს. ოთარ კაპანაძე“.

–... ძალიან ადვილადაც ვიპოვე...

მასპინძლებს თვალებისთვის ვერ დაეჯერებინათ:

ოთარი რამდენიმე ათეული წლით გაახალგაზრდავებულად ეჩვენებოდათ, ისე მსუბუქად, ლაღად და კმაყოფილებით მიმოდიოდა და ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ სულაც არ გასჭირვებია თავის წერილამდე მიღწევა.

**ზურაბ ლომიძე**

◎ დამალული არქიტექტურული საგანძური



# სამი ანტიკვარული სახლი

**ცოტამ თუ იცის წინა საუკუნეებით დათარიღებული ლამაზი საცხოვრებელი სახლებისა და დახვეწილი სადარბაზოების შესახებ, რომლებიც თბილისის ძველ უბნებში იმალება.**

**თბილისი გამოირჩევა თავისი მრავალფეროვანი არქიტექტურით, რაც სხვადასხვა კულტურების შერწყმის შედეგია. ქალაქის პატარა მასშტაბების მიუხედავად, ის ერთდროულად მოიცავს ახალ და ძველ შენობებს. თუმცა, ცოტამ თუ იცის წინა საუკუნეებით დათარიღებული ლამაზი საცხოვრებელი სახლებისა და დახვეწილი სადარბაზოების შესახებ, რომლებიც თბილისის ძველ უბნებში იმალება.**

## თბილისის მარგალიტი

**ალმაშენებლის გამზირზე სეირნობისას შეუძლებელია თქვენი ყურადღება არ მიიპყროს ულამაზესმა ძველებურმა სახლმა და მისმა საუცხოო ჩუქურთმებმა. სიძველის მიუხედავად, სახლს არ დაუკარგავს თავისი მომხიბვლელობა. საკმარისია ზღურბლს გადააბიჯოთ და მის სადარბაზოში შეიხედოთ, სრულიად განსხვავებულ, აქამდე უცნობ, სამყაროში აღმოჩნდებით.**

სახლი მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მეცენატმა ერასტი ჭავჭანიძემ ააშენა. იგი ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, როცა გერმანელი ვაჭრის გალანტერეაში დაიწყო მუშაობა. ბიჭუნამ იმდენად შეაყვარა თავი მაღაზიის მფლობელს, რომ გერმანიაში, ლაიპციგში გაუშვა სასწავლებლად.

როგორც იმ პერიოდის მდიდრული სახლებისთვის იყო დამახასიათებელი, ამ შენობის კედლებიც საუცხოოდ იყო მოხატული და გაფორმებული ოქროსფერი ორნამენტებით. ჭერიდან ანგელოზები დაგყურებენ, ხოლო კედლებზე „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი სცენებია გაცოცხლებული. აღსანიშნავია, რომ ილუსტრაციები ცნობილი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის მიხედვითაა შექმნილი. სამწუხაროდ, ეს უნიკალური სახლი დანგრევის პირასაა და მალე თუ არ ჩაუტარდა რესტავრაცია, მოლოდ ისტორიის ფურცლებსღა შემორჩება.

## უნიკალური ვიტრაჟული სახლი ბეთლემის ქუჩაზე

**თვალწარმტაცი ვიტრაჟული სახლი ბეთლემის ქუჩაზე ერთადერთი შენობაა ფერადი ფანჯრებით. ეს უნიკალური ანტიკვარული სახლი მე-19 საუკუნით არის დათარიღებული.** ლამაზი ფანჯრების გარდა, სახლს ხის მოჩუქურთმებული აივანი ამშვენებს. სახლი საკმაოდ ძველია და სასწრაფოდ საჭიროებს რესტავრაციას, თუმცა, სამწუხაროდ, მის მაცხოვრებლებს საკმარისი სახსრები არა აქვთ. სადარბაზო დაზიანებულია, ხოლო ერთ დროს ლამაზი ძველებური კიბეები – დეფორმირებული.

## სასტუმრო „ლონდონი“ – მსოფლიო გენიოსების საყვარელი ადგილი

**ყოფილი სასტუმრო „ლონდონი“ – კლასიცისტური სტილის შენობა, რომელიც ახლანდელი ათონელის ქუჩის №31-ში მდებარეობს, ძმებმა ზუბალაშვილებმა ააშენეს. სასტუმრო 1875 წელს გაიხსნა და ის ერთ-ერთი პირველი შენობა იყო, სადაც ელექტროენერგია გაიყვანეს.** მიუხედავად მისი მცირე ზომისა, იმ დროისათვის საუკეთესო და ყველაზე პრესტიჟულ სასტუმროდ თვლებოდა. 1899 წელს, თბილისში ყოფნის დროს, სასტუმრო „ლონდონში“ ცხოვრობდა ცნობილი ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი. ასევე თბილისში ყოფნის დროს იქ ცხოვრობდნენ პეტრე ჩაიკოვსკი, ტერენტი გრანელი და სხვა მრავალი გამოჩენილი ადამიანი. აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძე სასტუმროს რესტორნის ხშირი სტუმარი იყო. პირველი მსოფლიო ომის დროს მეცენატმა ძმებმა შენობა ლაზარეთს დაუთმეს, მაგრამ ომის დასრულების შემდგე სასტუმროს საქმიანობა აღარ გაუგრძელებია.

**ლიკა ჭილაძე**

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306-306^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს "ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს "რეგიონ ლოჯისტიკის" საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს "რეგიონ ლოჯისტიკი" (ს/კ 404917603), მის: თბილისი, გაგარინის I შესახვევი №1, ბინა №15;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. თბილისი, გლდანის საცხოვრებელი რაიონი, I კვარტლის მიმდებარედ (ნაკვეთი №1/51) (საკადასტრო კოდი: 01.11.13.001.051). შენობა-ნაგებობა №1-დან კომერციული ფართი 607კვ.მ. (II სართული), კომერციული ფართი 425კვ.მ. (I სართული), საზაფხულო ფართი 300.80კვ.მ. მის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად.

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 887437.76 ლარი. რეალიზაციის ფასი მოიცავს დღგ-ს;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 17 ივნისი, 11:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** შპს "ახალშენი 2005" (ს/კ 202292642), მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №55, კორპუსი №1, ბინა 124;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს "ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს "ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს "ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს "თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 17 ივნისის, 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306-306^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს "ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს "ქართული თხილი სიო-2000"-ის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს "ქართული თხილი სიო-2000" (ს/კ 237081518), მის: ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის მე-3 ჩიხი №6;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის მე-3 ჩიხი №6 (საკადასტრო კოდი: 26.26.57.031), 2664.00კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებთან ერთად.

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 366716.85 ლარი. რეალიზაციის ფასი მოიცავს დღგ-ს;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 17 ივნისი, 11:30 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალეები:**
შპს "ქართული თხილი სიო-2000" (ს/კ 237081518), მის: ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის მე-3 ჩიხი №6;
ლევან თოიძე (პ/ნ 01009009523), მის: ოზურგეთი, ს. ჟორჟოლიანის ქ. №24;
თეიმურაზ სიორიძე (პ/ნ 33001007353) მის: ოზურგეთი, სოფელი კონჭკათი.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს "ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს "ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს "ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს "თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 17 ივნისის, 11:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306-306^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს "ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ივანე მესხის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ივანე მესხი (პ/ნ 01009007738), თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2, ბინა №69;
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, ჩაჩავას ქ. №8, მე-5 სართული, ფართი 266.15კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.13.02.004.086.01.518).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 386100 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 16 ივნისი, 11:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალეები:**
შპს "მგგს საქართველო" (ს/კ 205099212), თბილისი, ჩაჩავას ქ. №8;
ივანე მესხი (პ/ნ 01009007738), თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2, ბინა №69;
რევაზ მესხი (პ/ნ 01008047730), თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2, ბინა №69;
შპს "მულტი სალარო" (ს/კ 205167004), თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-6 კვ., №25, ბინა 57;
მარია კოხია (პ/ნ 62014007643), თბილისი, ბურძგლას ქ. №112;
ხვიჩა მაქაცარია (პ/ნ 62005003653), თბილისი, ბურძგლას ქ. №112.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს "ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს "ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს "ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს "თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 16 ივნისის, 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

ალიან-ჩალიანი

# ბათუმში 50 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება

**ბათუმში,** სასტუმრო „რადისონში“ ორი კომპანიის შპს „მეტრო ატლას ჯორჯია“-სა და შპს „ეიარ მერიდიანსი“-ს წარმომადგენლებთან ერთად თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის უფროსმა ზურა ჭურკვეიძემ. ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი დავით ბალაძე.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ახალ ბულვარში შპს „მეტრო ატლას ჯორჯია“ და შპს „ეიარ მერიდიანსი“ არანაკლებ 220-200-ნომრიანი სასტუმროსა და აპარტამენტების მშენებლობას იწყებენ: „უკვე დასრულებული სასტუმროების ოპერირებას მსოფლიო ბრენდები უზრუნველყოფენ. ახალ ბულვარში შპს „ეიარ მერიდიანსი“ არანაკლებ 30 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. პროექტის მიხედვით საინვესტიციო ტერიტორიაზე არანაკლებ 220-ნომრიანი სასტუმო და 600 აპარტამენტი აშენდება. შენობაში ასევე სამორინე, საკონფერენციო დარბაზები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები, კვების და სხვა ობიექტები განთავსდება. პროექტი ხელშეკრულების გაფორმებიდან ოთხ წელში დასრულდება. ინვესტიციის განხორციელების შემდეგ არანაკლებ 300 ადამიანი დასაქმდება. შპს „მეტრო ატლას ჯორჯია“ კი ახალ ბულვარში არანაკლებ 20 მლნ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. ხელშეკრულების მიხედვით ინვესტორი არანაკლებ 200-ნომრიან სასტუმროს, ასევე არანაკლებ 250 აპარტამენტის მშენებლობას უზრუნველყოფს. პროექტის მიხედვით ტერიტორიაზე კაზინო, საკონფერენციო დარბაზები, სპა ცენტრი მოეწყობა. ინვესტიციის განხორციელების შემდეგ არანაკლებ 500 ადამიანი დასაქმდება. კომპანია 20 მილიონი დოლარიდან 1 მილიონ დოლარს საინვესტიციო ტერიტორიასთან არსებული არხის კეთილმოწყობისთვის დახარჯავს. პროექტის განხორციელება მიმდინარე წელს დაიწყება. ხელშეკრულების მიხედვით შპს „მეტრო ატლას ჯორჯიას“ მშენებლობის დასრულებისთვის 5 წელი ექნება, თუმცა, კომპანიის განცხადებით პროექტი დაახლოებით 2017 წელს დასრულდება“, — აღნიშნულია სამინისტროს ინფორმაციაში.

ინტერპრესი

გაიმარჯვა და წავიდა

# პლატინიმ ბლატერს გადაწყვეტილება მოუწონა



**ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ იოზეფ ბლატერს გადაწყვეტილება მოუწონა და განაცხადა, რომ შვეიცარიელს წასვლა საპრეზიდენტო არჩევნებამდეც ურჩია.**

„ეს იყო რთული, მამაცური და სწორი გადაწყვეტილება. ბლატერს არჩევნებამდე შევხვდი და ვთხოვე წასვლა, გადადგომა. მეგობრულად ველაპარაკე და მან მითხრა, რომ ამჟამად წასვლა გვიანი იყო. ევროპული ასოციაციების უმრავლესობამ არჩევნებში ხმა პრინც ალის მისცა. ხალხის მოთმინებას საზღვარი აქვს. მათ არ სურდათ იოზეფი კვლავ პრეზიდენტი ყოფილიყო“, – განაცხადა ფრანგმა.

ფიფას 1998 წლიდან შვეიცარიელი ხელმძღვანელობდა. 29 მაისს ბლატერი პრეზიდენტად მეხუთედ აირჩიეს, ოთხი დღის შემდეგ კი იოზეფმა პოსტი დატოვა.

**კობა კობახიძე**

ჭადრაკი

# მესამე ადგილით დაკმაყოფილდა

**ინდურ ბუბანეშვარში დამთავრდა მოჭადრაკეთა ელიტური ტურნირი, რომელშიც საქართველოს ექვსი წარმომადგენელი მონაწილეობდა.** ჩვენი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა მიხეილ მჭედლიშვილმა 10 შეხვედრიდან დაამარცხა ხუთი მეტოქე – ნარაიანან ლაქშმი, ჩირინადი (ორივე-ინდოეთი), ჰოა დუკ ნგუენი (ვიეტნამი), შარმა ჰიმანშუ (ინდოეთი) და თანამემამულე შოთა აზალაძე, ხოლო ოლივერ დიმაკალინგს (ფილიპინები), მურალი კარტიკეინს (ინდოეთი), ლუკა პაიჭაძეს, ალექსეი ალექსანდროვსა (ბელარუსი) და პაველ სმირნოვს (რუსეთი) ყაიმზე შეუთანხმდა და 7.5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულა მოაგროვეს პაველ სმირნოვმა და ალექსეი ალექსანდროვმა, მაგრამ კოეფიციენტის გათვალისწინებით მათ, შესაბამისად, მეორე და მეოთხე ადგილები ერგოთ. 8 ქულით მთავარი პრიზი მასპინძელ ჩანდა სანდიპანს ერგო. დანარჩენ ჩვენებურთაგან საქართველოს ჩემპიონმა ლევან ფანცულაიამ (მე-6 ადგილი), ლუკა პაიჭაძემ (მე-7) და მერაბ გაგუნაშვილმა (მე-12) 7-7 ქულას მოუყარეს თავი. 29-ე იყო შოთა აზალაძე (6 ქულა), ხოლო თამაზ გუგულაშვილი 3 ქულით 130-ე ადგილზე გავიდა.



**გივი გაგუა**

**სურათზე:** მიხეილ მჭედლიშვილი.

I ევროპული თამაშები

# ქართველები 13 სახეობაში მოსინჯავენ ძალებს

**12 ივნისს აზერბაიჯანის დედაქალაქში საზეიმოდ გაიხსნება და 28 ივნისამდე გასტანს პირველი ევროპული თამაშები (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე მეჰრიბან ალიევა), რომელშიც სპორტის 20 სახეობაში (16 – ოლიმპიური და 4 – არაოლიმპიური) „ბებერი კონტინენტის“ 50 ქვეყნის 6200 სპორტსმენი იბრძოლებს მედლებისთვის.** საქართველოს წარმომადგენლები სპორტის 13 სახეობაში (ტყვიის სროლა, ველოსპორტი, ფარიკაობა, კრივი, მშვილდოსნობა, კანოე, საწყლოსნო სახეობები (ცურვა, წყალხტომა), ტანვარჯიში (მხატვრული და სპორტული), ჭიდაობა (თავისუფალი და ბერძნულ-რომაული), სამბო, მძლეოსნობა, ძიუდო, კარატე) მოსინჯავენ ძალებს. პირველი ქართველი სპორტსმენი, რომელმაც ბაქოს თამაშების საგზური მოიპოვა, გახლავთ მხატვრული ტანმოვარჯიშე სალომე ფაჟავა – მან ეს უფლება 2013 წლის ევროპის ჩემპიონატზე დაიმსახურა.

როგორც ოლიმპიურ თამაშებზე, აზერბაიჯანის დედაქალაქშიც იმედებს, უმთავრესად, ცხადია, ფალავნებზე ვამყარებთ, ამიტომ დღეს მათს ვინაობას გაგაცნობთ, რომლებიც თამაშებზე ჭიდაობის ორივე სახეობაში იასპარეზებენ:

**თავისუფალი ჭიდაობა:** ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (57), ბექა ლომთაძე (61), ალექსანდრე კენჭაძე (65), დავით ტლაშაძე (70), ჯუმბერ ყველაშვილი (74), სანდრო ამინაშვილი (86), ელიზბარ ოდიკაძე (97) და გენო პეტრიაშვილი (125). მთავარი მწვრთნელი: რევაზ მინდორაშვილი; მწვრთნელები: ემზარ ბედინეიშვილი, არჩილ ქიტიაშვილი, ალექსანდრე კახნიაშვილი.

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:** გიზო მელაძე (59), საჩინო დავითაია (66), მინდია წულუკიძე (71), ზურაბ დათუნაშვილი (75), ლაშა გობაძე (80), მათე სოფაძე (85), მიხეილ ქაჯაია (98) და იაკობ ქაჯაია (130). მთავარი მწვრთნელი: ბეგი დარჩია; მწვრთნელები: ოთარ ტატიშვილი, აკაკი ჩაჩუა, ჯემალ ბაკურიძე.

**ლექსო ცინცაძე**



**სურათზე: გენო პეტრიაშვილი (მარჯვნივ) ჭიდაობისას.**

გადახდა უნდა ვალსაო

# კანკავას კლუბს 9 მილიონი ევრო ჩამოაჭრეს



**დნეპროპეტროვსკის „დნიპრო“, რომელშიც ჯაბა კანკავა გამოდის, უეფას ევროპა ლიგაზე გამომუშავებულ საპრიზო თანხას ძველი ვალების გამო ვერ მიიღებს.**

საერთო ჯამში ფინალში გასულ „დნიპროს“ უეფასგან 9 მილიონი ევრო ეკუთვნოდა, მაგრამ გადაცემა „ველიკი ფუტბოლის“ ინფორმაციით, ეს თანხა სასამართლოს გადაწყვეტილებით გერმანულ კომპანია Hochtief-ს ჩაერიცხება.

ამ კომპანიამ დნეპროპეტროვსკელთა საშინაო სტადიონი „დნიპრო-არენა“ ააშენა და უკრაინული საფეხბურთო კლუბისგან კუთვნილი თანხა ბოლომდე არ მიუღია. სამუშაოს შემსრულებლებისთვის „დნიპროს“ ვალი 11 მილიონ ევროს შეადგენს.

**ბადრი იაშვილი**

თაობა

# სადაც სპორტის ფასი იციან

**საქართველოს 240-მდე კერძო და საჯარო სკოლის 2200 მოსწავლე მონაწილეობდა ფუტსალში სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით გამართულ ტურნირში.** აღსანიშნავია, რომ დედაქალაქის წარმომადგენლებთან ერთად მედლებისთვის რეგიონების გუნდებიც იბრძოდნენ (ბათუმი, თელავი – წინანდალი, ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომი, თიანეთი, მცხეთა-წეროვანი, ლაგოდეხი-გიორგეთი და ალვანი, დმანისი და სოფელი დიდი დმანისი).



ფინალური შეხვედრა, რომელსაც სპორტკომპლექსმა „არენა-2“-მა უმასპინძლა, ფრედ – 0:0 დასრულდა, პენალტების სერიაში კი თბილისის 149-ე საჯარო სკოლამ 115-ე საჯარო სკოლელები დაამარცხა – 3:1. გამარჯვებულებს ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კიკალიშვილმა ანაკლიის ბავშვთა ბანაკის საგზურები გადასცა.

მატჩი III ადგილისთვის. 51-ე საჯარო სკოლა – 120-ე საჯარო სკოლა 3:2.

დავძენთ, რომ აღნიშნული ტურნირის წარმატებით ჩატარება საქართველოს ფუტსალის ასოციაციის თავკაცის ზვიად ხაჩიაშვილის თანადგომით გახდა შესაძლებელი.

**გიორგი შოთაძე**



კალათბურთი

# სეზონის მინიურულს

**„დიდუბე-პლაზას“ სასტუმროს საერთო დარბაზში თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის წევრები შეიკრიბნენ და ორგანიზაციის დაარსებიდან განხორციელებული მუშაობის შედეგები შეაჯამეს. საანგარიშო სიტყვა თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტმა, ვეტერანმა კალათბურთელმა პაატა გურასპაულმა წარმოსთქვა.**

შეახსენებთ, რომ თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი მესამე წელია არსებობს და მას სათავეში ვეტერანი კალათბურთელები უდგანან. კავშირი საკალათბურთო აქტივობებთან ერთად დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში რეგულარულ ჩემპიონატებს ატარებს. თამაშები სეზონის დასაწყისიდან ზაფხულამდე გრძელდება და მასში ასობით მოზარდია ჩართული.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# ნა ლი დედა გახდა

**დიდი სლემის 2-გზის ჩემპიონი ჩინელი ნა ლი 33 წლის ასაკში დედა გახდა. ყოფილ მეჩოგნეს გუშინ დილით ქალიშვილი შეეძინა. ბავშვს ელისი დაარქვეს.**

ნა ლიმ 2014 წლის სექტემბერში მუხლის ტრავმის გამო კარიერა დაასრულა, მაგრამ მაშინვე გავრცელდა ჭორები, რომ ტრავმა არაფერ შუაში იყო. ბულვარული პრესა იუწყებოდა, ნა ლი ორსულად არისო.

ნა ლის 2014 წლის თებერვალში მსოფლიო რეიტინგში მეორე ადგილი ეკავა. ჩინეთის ყველაზე ტიტულოვან ქალ ჩოგბურთელს ორი დიდი სლემის ტურნირი აქვს მოგებული (2011 – საფრანგეთის ღია პირველობა, 2014 – ავსტრალიის ღია პირველობა).



**როსტომ რაჭველიშვილი**

## ალიან-ჩალიანი

### კახა კუკავა „სითი პარკის“ წინააღმდეგ

**პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ თბილისის მერიაში კომპანია „სითი პარკის“ წინააღმდეგ საჩივრები შეიტანა.**

როგორც კახა კუკავამ აღნიშნა საკითხი ეხება ევაკუატორით გადაყვანილ მანქანებს. მისივე თქმით, მან თბილისის მერიაში თბილისელების სახელით პირველი 10 საჩივარი შეიტანა. კუკავა მოქალაქეებისთვის 60 ლარის დაბრუნებას ითხოვს.

კახა კუკავა თბილისელებს მოუწოდებს, ევაკუირების თანხის გადახდის ქვითარი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ოფისში მიიტანონ.



მისივე თქმით, პარტია თბილისელებს უსასყიდლოდ მოუმზადებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობასთან დაკავშირებულ საჩივრებს.

„ეს არის ყველაზე ქმედითი იარაღი მონოპოლიების წინააღმდეგ. სრულიად აშკარაა, რომ ამ მონოპოლიას არ ეშინია არც ამ მთავრობის, არც წინა მთავრობის, არც ღმერთის და არც ადამიანის. ერთადერთი, რისიც მათ ეშინიათ, ეს არის გაკოტრება. ამიტომ, ვაპირებთ, გავაკეთოთ 10 000 საჩივრის ორგანიზება, რაც ჯამში „სითი პარკს“ 1 600 000 ლარი დაუჯდება“, – აღნიშნა კახა კუკავამ.

### ქუთაისში კუხიანიძეების ოჯახს სახლიდან ასახლებენ

**ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე მცხოვრებ კუხიანიძეების ოჯახს სახლიდან ასახლებენ. კუხიანიძეების ოჯახს საკუთარი საცხოვრებელი სახლის დატოვებას, კერძო იპოთეკარი სამართალდამცველების ძალის გამოყენებით აიძულებს.**

ადგილზე იპოთეკით დაზარალებული სხვა ოჯახებიც იყვნენ შეკრებილები, რომლებიც გამომსახლებელს პროცესის რამდენიმე დღით გადავადებას სთხოვდნენ.

„არსად წასასვლელი არ მაქვს. ავადმყოფ ბავშვთან ერთად ქუჩაში ვრჩები. ვითხოვ, სამი დღე მომცენ, იქნებ რაიმე ფართი ვიშოვო, თუმცა, ამის საშუალებასაც არ მაძლევენ. ბინა 9 ათასად ჩავდე, ახლა კი 15 ათასს მთხოვენ. ამ თანხის გადახდის საშუალება არ მაქვს“, – აცხადებს იპოთეკით დაზარალებული მარგო კუხიანიძე.

### რამ გამოიწვია ბავშვების მოწამვლა?

**მოწამვლის საფრთხის გამო, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა თბილისის 139-ე სკოლა მთლიანად დაცალეს. სკოლა დაატოვებინეს სკოლის დირექტორს და საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებსაც.**

ამასთან, ვრცელდება არაოფიციალური ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ბავშვების მოწამვლა რაიმე მომწამლავი ნივთიერების გამო მოხდა და ამიტომ სკოლაში ვინმეს ყოფნა სახიფათოდ მიიჩნიეს.

როგორც სკოლის დირექტორმა ნათი ფხალაძემ განაცხადა, ბავშვები სკოლიდან მაშინვე გაუშვეს, რაც ცნობილი გახდა, რომ მეხუთე კლასის ათამდე მოსწავლე მოიწამლა. როგორც დირექტორი ამბობს, მისთვის უცნობია მოწამვლის მიზეზი.

„მეხუთე კლასელებს ჰქონდათ მუსიკის გაკვეთილი, როდესაც ორ ბავშვს ჰქონდა გულისრევის შეგრძნება და თავბრუსხვევა, რის შემდეგაც მოხდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების გამოძახება. ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე ბავშვმა თქვა, რომ იგივე სიმპტომები ჰქონდათ. სასწრაფომ მათ ჩაუტარა პირველადი დახმარება, აქედან ექვსი ბავშვი გადაიყვანეს ჰოსპიტალში, ხოლო დანარჩენი ბავშვების მშობლებმა უარი განაცხადეს მათ გადაყვანაზე“, – განაცხადა სკოლის დირექტორმა ნათია ფხალაძემ.




მისივე განცხადებით, როგორც კი კლასი ბავშვებისგან დაიცალა, მანდატურის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, პირადად დაათვალიერა მეხუთე კლასელების პირადი ნივთები. იგი გამორიცხავს, რომ რაიმე სახის ნივთიერება ან რაიმე სახის მომწავლავი ნივთიერება სკოლის შენობაში შეეტანათ.

### ფასები ტრანსპორტზე, სამედიცინო პროდუქციასა და ბოსტნეულზე გაიზარდა

**2015 წლის მაისში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოში ინფლაციის დონემ 0,6 პროცენტი შეადგინა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა რამდენიმე ჯგუფზე ფასების ცვლილებამ იქონია.**

„**ტრანსპორტი:** წინა თვესთან შედარებით ფასები გაიზარდა 3,0 პროცენტით, შესაბამისად ჯგუფის წვლილმა თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,34 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა საწვავ-საპოხ მასალებზე (5,8 პროცენტი);4 ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფში ფასები გაიზარდა 1,3 პროცენტით, რაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,13 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების მატება დაფიქსირდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობების ქვეჯგუფზე (3,9 პროცენტი); **სურსათი და უალკოჰოლო სასმელები:** ჯგუფში ფასები შემცირდა 0,6 პროცენტით, რამაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში – 0,18 პროცენტული პუნქტი შეიტანა. ფასები შემცირდა რძის, ყველის და კვერცხის ქვეჯგუფზე (-6,8 პროცენტი) და ხილსა და ყურძენზე (-0,3 პროცენტი). ამასთან ფასები გაიზარდა ზეთსა და ცხიმზე (2,2 პროცენტი) და ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე (2,0 პროცენტი)“, – აცხადებენ სტატისტიკის სამსახურში.

### ქუთაისში ყაზახეთიდან დამატებით ჩარტერული რეისები დაინიშნა

**საქართველოში, 7 ივნისიდან ყაზახეთის ავიაკომპანია „Bek Air“ საჰაერო მიმოსვლის განხორციელებას დაიწყებს. როგორც აღნიშნული ავიაკომპანია მრავალჯერად ჩარტერულ რეისებს შეასრულებს, ქუთაისის მიმართულებით ყაზახეთის ქალაქებიდან – აქტაუ და ატირაუ.**

ფრენა მიმდინარე წლის სექტემბრის ჩათვლით განხორციელდება.

„აღნიშნული რეისები მთლიანად ორიენტირებული იქნება ყაზახეთიდან ტურისტული ჯგუფების ტრანსპორტირებაზე. საქართველოში მიმღები მხარე იქნება კურორტი საირმე“, – აცხადებენ უწყებაში.



საქართველოს საინჟინრო აკადემია სამძიმარს უცხადებს ბატონ ლევან კლიმიაშვილს დედის, ქალბატონ

**ქეთევან გარსიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

გარდაიცვალა საქართველოს ქალთა საბჭოს აქტიური ქველმოქმედი წევრი, გაჭირვებულთა თანამდგომი

**გულიკო კვიჟინაძე**

საქართველოს ქალთა საბჭო ვუსამძიმრებთ ოჯახს. პანაშვიდი 4, 5 VI, 17 სთ. დაკრძალვა 6 VI, 14 სთ. მისამართი: ჭავჭავაძის 75, მე-9 კორპუსი. I სადარბაზო, VI სართული.

## ჩვენი კარაბადინი

### სახიფათო კონტური

**იმათ, ვინც რეგულარულად იღებავს თვალის ქვედა გუგას, ეზრდებათ მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემების რისკი, ამბობენ კანადელი მეცნიერები ვატერლოოს უნივერსიტეტიდან.**

**აღმოჩნდა, რომ დეკორატიული კოსმეტიკის საშუალებები იწვევენ ცრემლის ქვედა აპკში (თხელი სველი ფენაა, რომელიც თვალს იცავს) 15-30 პროცენტით უფრო სწრაფად, ვიდრე ზედაში. და რაც უფრო ახლოა წამწამების ხაზთან საღებავი, მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს შეღწევის პროცესი.**

შესაღები ჩვეულებრივად შეიცავს ცვილს, ცხიმს, სილიკონებს და ბუნებრივ ფისებს. ყველა ამ ინგრედიენტის დანიშნულებაა, რომ შეინარჩუნოს უპეებზე მაკიაჟის საშუალებები, მიუხედავად თვალების ხუჭვისა და ოფლის გამოყოფისა. თუმცა, ამ კომპონენტებს შეუძლიათ, ზიანი მიაყენონ მათ, ვის თვალებსაც მიდრეკილება აქვთ სიმშრალისაკენ და ვინც კონტაქტურ ლინზებს ატარებს. მაკიაჟის ნაწილაკების მოხვედრა ცრემლის აპკში იწვევს თვალების გაღიზიანებას, მათ გაწითლებას და მზერის ობიექტების კონტურების წარეცხვას.

### ზაფხულის პრობლემა

**ფეხების კრუნჩხვის სიხშირე და ინტენსიურობა, რაც ძირითადად აწუხებს 50 წელზე უხნეს ადამიანებს, ორმაგდება ზაფხულობით ზამთართან შედარებით, აჩვენა კანადელი მეცნიერების გამოკვლევამ.**

გამოკვლევაში 31339 კაცი მონაწილეობდა, რომლებიც იყენებდნენ ქინაქინს, რითაც ზოგიერთ ქვეყანაში კურნავენ კრუნჩხვებს, მათგან 61 პროცენტი ქალი იყო. დაადგინეს ასევე, რომ კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ქინაქინს ყველაზე ხშირად უწერენ ივლისში. ამას გარდა, სწორედ ივლისშია Coogle-ის საძიებო სისტემაში ძალიან პოპულარულია მოთხოვნა – „ფეხის კრუნჩხვები“. ავსტრალიაში კი ამ მოთხოვნის პიკი აღინიშნება იანვარში, როდესაც სამხრეთ ნახევარსფეროში გაგანია ზაფხულია. ის, რომ გავიგოთ, თუ რატომ მწვავდება სიტუაცია ფეხის კრუნჩხვებთან დაკავშირებით სწორედ ზაფხულში, საჭირო იქნება კიდევ მთელი რიგი გამოკვლევები.

**გამოკითხვა**

**როგორ აფასებთ წამლების რეკლამებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში?**

**55 პროცენტი – აღშფოთებული ვარ. ასეთი რეკლამა თვითმკურნალობას უწევს პროვოცირებას და არა იმას, რომ მიმართონ ექიმებს.**

**30 პროცენტი – მას არ ვაქცევ ყურადღებას.**

**15 პროცენტი – მომწონს. ხშირად რეკლამა გვიკარნახებს პრეპარატს ან გვეხმარება გავერკვეთ მის მოქმედებაში.**

**სულ გამოკითხვაში 13701 კაცმა მიიღო მონაწილეობა.**

### თვალები – საკვების სარკეა

**საკვები თვალის ფერს ცვლის, იტყობინებიან ბრიტანელი მკვლევარები. არსებობს გარკვეული დამოკიდებულება თვალის ფერსა და იმ პროდუქტებს შორის, რომლებსაც საკვებში ვიყენებთ. თუ მივეძალებით გარკვეულ საკვებს, თვალებმა შეიძლება შეიცვალონ ფერი 60 დღეში.**

თვალი უფრო ნათელ ელფერს ღებულობს ნატურალური თაფლისა და ნიგვზის მუდმივი მიღების დროს. თუ, პირიქით, გვინდა თვალის ფერი გავხადოთ უფრო ნათელი, აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ის პროდუქტები, რომლებშიც უხვადაა რკინა, წითელი ხორცი, საქონლის ღვიძლი, სუბპროდუქტები.

ასევე თვალის ფერადი გარსი შეიძლება იცვლებოდეს ზეითუნის ზეთის რეგულარული მოხმარების გამო. ამ ზეთში არსებული სხვადასხვა სიმჟავეები არბილებენ ფერადი გარსის ფერს, შედეგად თვალები თბილ ელფერს იძენენ.

## რეგიონი

### პურ-ღვინისა და ფოლკლორის ფესტივალი დედოფლისწყაროში

**უკვე მესამე წელია დედოფლისწყაროში ფართოდ აღინიშნება საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. კახეთის გუბერნატორის ირაკლი შიოლაშვილის ინიციატივით 2013 წლის 26 მაისს დედოფლისწყაროში პურის, ღვინისა და ფოლკლორის სახალხო დღესასწაული დაფუძნდა.**

ზეიმისას ცენტრალურ ქუჩაზე ყველა სოფელს გამოყოფილი აქვს თავისი კუთხე, სადაც წარმოდგენილია თითოეული სოფლის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი. გამგეობის სკვერში ეწყობა ადგილობრივი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა.

წლეულს პურის, ღვინისა და ფოლკლორის ფესტივალში მადლიანი ქიზიყური და აჭარული პურ-მარილით თავი დაგვამახსოვრეს სოფელ სამთაწყაროს, ზემო მაჩხაანის, არბოშიკის, გამარჯვების, ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის, ოზაანის და სხვა საკრებულოებმა.

დღეს სპეციალური მოწვევით დედოფლისწყაროში ჩამობრძანდნენ თბილისის მკვიდრი, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე გამოჩენილი დედოფლისწყაროელები: საზოგადოება „ამაგდარის“ პრეზიდენტი ვახუშტი ქიზიყურაშვილი, სააქციო საზოგადოება „კახეთის“ გენერალური დირექტორი ნუგზარ რობიტაშვილი და სხვები.

დღესასწაული დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს ხორნაბუჯისა და ჰერეთის მღვდელმთავარმა მეუფე დიმიტრიმ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა და სხვებმა.

სახალხო დღესასწაული დასრულდა დიდი გალა კონცერტით, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები.

**ნანა ჭიჭინაძე**

## განცხადება

2015 წლის 28 ივლისს, 15 საათზე, ქ. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7) გაიმართება შპს „ნაგუთი-2014“-ს მანგანუმის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საწარმოს საქმიანობის მიზანია მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობა, მანგანუმის მადნის შემოტანა, მისი გამდიდრება და მიღებული პროდუქციის რეალიზაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ქ. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში – ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7;**
- **შპს „ნაგუთი-2014“-ის ოფისში – ქ. ჭიათურა, საჩხერის გზატკეცილი №6.**
- **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში - ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.**

**ტელ: 5 (95) 59 52 55; 5(95) 28 75 60.**

**საზოგადოებასთან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.**

**შპს „ნაგუთი-2014“-ის ადმინისტრაცია**

რა იქნება ხვალ?

# მომავლის 10 პროფესია

## რომელი პროფესიები იქნება მოთხოვნადი უახლოესი 10 წლის განმავლობაში

**ტექნოლოგიების** განვითარებასთან ერთად, თანამედროვე სამყაროში თანდათან იცვლება პროფესიებზე მოთხოვნა. გამოცემა „ბიზნეს ინსაიდერი“ იმ პროფესიების ჩამონათვალს აქვეყნებს, რომელიც უახლოესი ათი წლის განმავლობაში სავარაუდოდ, მოთხოვნადი იქნება მსოფლიოს ქვეყნებში.

### ინჟინერ-მშენებელი

ინჟინრების დეფიციტი თითქმის ყველა წამყვან ქვეყანაშია. ამიტომ მსოფლიოს ბევრი წამყვანილი უნივერსიტეტი სტუდენტებს სხვადასხვა საინჟინრო პორგრამას სთავაზობს. გერმანიაში ჩატარებული ერთ-ერთი ბოლო გამოკითხვით, გასულ წელს ქვეყანაში 64 ათასი ვაკანსია იყო საინჟინრო სფეროში. ექსპერტთა ვარაუდით, მსოფლიოს მასშტაბით უახლოეს



წლებში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნად სწორედ მშენებლობისა და ენერგეტიკის სფეროში მომუშავე სპეციალისტები იქნებიან.

### ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტები

ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტების ანაზღაურება საკმაოდ მაღალია. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ სპეციალისტის პროფესიონალები მაინც მცირედ არიან წარმოდგენილი დასაქმების ბაზარზე და მათზე დიდი მოთხოვნაა.

### პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტი

რპ მენეჯერები უახლოესი ათი წლის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად პროფესიად პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტს ასახელებენ.

### ეკონომისტ-მათემატიკოსი

სპეციალისტები, რომლებიც ეკონომიკურ პრობლემებს მათემატიკური მეთოდებით წყვეტენ, საკმაოდ კარგად ანაზღაურებადი არიან. ამ სპეციალისტთა სამუშაო რისკების მართვის, წარმოების პროცესის ოპტიმიზაციისა და ინვესტიციების შეფასებისგან შედგება.

### გაყიდვების მენეჯერი

გაყიდვების მენეჯერებზე მოთხოვნა თითქმის ყველა სფეროშია, დაწყებული ელექტროტექნიკის წარმოებისგან, დამთავრებული მეტალურგიითა და ტექსტილის წარმოებით. მარკეტინგის კარგი ცოდნა და პროდუქციის შემუშავების პრინციპი, ასევე უცხო ენების ცოდნა ამ პოზიციაზე წარმატებული მუშაობის საწინდარია.

### მექატრონიკა

ამ მიმართულების სპეციალისტები მანქანებისა და კომპიუტერული მოწყობილობების შექმნითა და ექსპლუატაციით არიან დაკავებული. ექსპერტთა განცხადებით, მექატრონიკის სფეროს სპეციალისტები ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი იქნება.

### საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგი

კვების ტექნოლოგების ნაკლებობას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უჩივიან, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, სადაც საკვებ პროდუქტზე მკაცრი კონტროლია. თუმცა, საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგის საქმიანობაში მხოლოდ ბავშვთა კვების ან ალერგიული პროდუქტის გაკონტროლება არ შედის, ეს სფერო ასევე მოიაზრებს მცირე ქარხნებისა და ლუდსახარშების კონტროლსაც.

### მოხუცთა მომვლელი

იმ ფაქტზე, რომ მოხუცთა მომვლელებზე დიდი მოთხოვნაა, ისიც მეტყველებს, რომ საქართველოდან წასული ქალბატონების დიდი ნაწილი ამერიკასა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში სწორედ მოხუცთა მომვლელად მუშაობს. ექსპერტთა ვარაუდით, მოხუცთა მომვლელებზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზრდება უახლოესი წლების განმავლობაში.

### ექიმი

ეს ალბათ, ის ერთ-ერთი პროფესიაა, რომელზე მოთხოვნაც არასდროს კლებულობს. მართალია, საქართველოში სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაბარებაზე ისეთი ბუმი აღარ არის, როგორც ეს 80-იან წლებში იყო, თუმცა ფაქტია, რომ ექიმობა კვლავ მოთხოვნადი სპეციალობაა. განსაკუთრებით, სჭირდებათ ექიმები მსოფლიოს სხვადასხვა პატარა ქალაქებსა და სოფლებში.

### მათემატიკისა და ბუნებრივი მეცნიერებების მასწავლებელი

როგორც აღმოჩნდა, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მათემატიკის, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებელთა დეფიციტია. ექსპერტები ასევე ვარაუდობენ, რომ ამ პროფესიაზე მოთხოვნა უახლოეს წლებში კიდევ უფრო გაიზრდება განსხვავებით უცხო ენების ან ისტორიის მასწავლებლებისგან.

## იყიდება

დედოფლისწყაროში ორსართულიანი წითელი აგურით ნაშენი, თუნუქით დახურული სახლი ეზოთი. 12 ოთახი, სველი წერტილებით, სათავსოებით, ბუხრებით, თანამედროვე რემონტით. ხეხილით გაშენებული ეზოს საერთო ფართი 9 ათას კვ. მ. შესანიშნავი ხედით. ბუნებრივი აირი და წყალი მუდმივად. ოთახების განლაგება საშუალებას იძლევა სახლი გადაკეთდეს სასტუმროდ. ფასი შეთანხმებით.

ტელ. 223296. 599 357 697. 514 333 324.

ტესტი

# ხომ არ დადგა დასვენების დრო?

**დადებითი პასუხისათვის („დიახ“) დაიწერეთ 2 ქულა, პასუხისთვის „არა“ ქულა არ იწერება**

1. დღის შუა პერიოდისთვის სულ უფრო გეუფლებათ დაღლილობა და ძილის გრძნობა?
2. ძნელად იძინებთ?
3. თქვენი ძილი გახდა წყვეტილი და მშფოთვარე?
4. სამსახურში ბევრ რამეს ვერ ასწრებთ?
5. არ იღლებით ჩვეულებრივი დატვირთვებისგან?
6. ამჟამად ბევრი რამ არ გახარებთ?
7. გამოყავხართ მწყობრიდან ცხოვრების წვრილმანებს?
8. გიქვეითდებათ ინტერესი ინტიმისაკენ?
9. ღამის ძილი არ გმატებთ ძალას?
10. სახლში ახლა ყველაფერი ხელიდან გივარდებათ?
11. სულ უფრო გიჭირთ ყურადღების გამახვილება?
12. უქმე დღეები არ გიხსნით კვირის განმავლობაში დაგროვილი დაღლილობისაგან?
13. ყველაფერი გავიწყდებათ?
14. დაგიქვეითდათ ინტერესი სამუშაოსადმი?
15. განიცდით შინაგან დაძაბულობას?
16. ოცნებობთ, აღმოჩნდეთ რომელიმე უკაცრიელ კუნძულზე?

### შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

**ჯამი 0-დან 6 ქულამდე** ნიშნავს, რომ თქვენ ჯერჯერობით აღსავსე ხართ ფიზიკური და სულიერი ძალებით, ამიტომ ასევე მზად ხართ, იმუშაოთ ისეთივე ინტენსიურობით თქვენი ნერვული და ფიზიკური ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუყენებლად. თუმცა, არ მიგაჩნიათ თავი კაჟივით მაგარი, ამიტომ უარს არ ამბობთ თქვენს საკუთარ შვებულებაზე, რომელსაც შეეცდებით, გამოიყენოთ მაქსიმალური სარგებლობით საკუთარი თავისთვის.

**ჯამი 6-სა და 20 ქულას შორის** მოწმობს, რომ გაგიჩნდათ დაღლილობის პირველი ნიშნები. უკანასკნელ თვეებში გრძნობთ აშკარა დაღლილობას, ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება მალე დაიწყოთ უფრო დიდი დასვენება. და თუ არ გაქვთ შესაძლებლობა, გამოიყენოთ შვებულება, შეეცადეთ, უფრო ხშირად გახვიდეთ ბუნებაში. მაგრამ უკეთესი იქნება, შეიცვალოთ ჩვეულებრივი „რუტინული“ ვითარება, გახვიდეთ რამდენიმე დღით მეგობრებთან ან ნათესავებთან, ანდა სულაც საზღვარგარეთ. თქვენთვის განსაკუთრებით სასარგებლოა დასვენების აქტიური სახეობები.

**ჯამი 20-სა და 32 ქულებს შორის** მეტყველებს მძიმე გადაღლილობის შესახებ, რომელმაც, შეიძლება, „კრიზისულ“ ზღვარს მიაღწია. თქვენ, როგორც არასდროს, გჭირდებათ დასვენება, მაგრამ მხოლოდ პასიური, ვინაიდან აქტიური დასვენებისთვის არ გეყოფათ არც ფიზიკური, არც სულიერი ძალები. თუ ვერ შეძლებთ აიღოთ დაუყოვნებლივ შვებულება, მაშინ, შეიძლება, უახლოეს პერიოდში თქვენ უკვე მოგიწევთ დახმარებისთვის მიმართოთ ექიმს.

## ყურადღება!

**იყიდება** დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. 1 კვ.მ. – 120$, ორ ნაწილად გაყოფისას – ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

კადრი



„უჰ შენი, რამხელა გაზრდილა!“ – ჩინელი ბიჭუნა აღტაცებულია პეკინში საზამთროს ყოველწლიურ გამოფენაზე გამოტანილი უზარმაზარი ზოლებიანი ნაყოფით. ყველაზე დიდი საზამთრო 84 კილოგრამს იწონის!

ცინცხალი ანეკდოტები

**საუკეთესო** დიეტა არის სიყვარული, საუკეთესო ფიტნესი – სექსი. მაგრამ თუ წონაში მაინც ვერ იკლებთ, შეიცვალეთ მწვრთნელი და დიეტოლოგი!

* * *

**წონაში** დაკლების მოსურნეთათვის:

– საუზმე ძილის გამო გამოტოვე, სადილი ვახშმობისთვის შეინახე, ვახშამი კი მტერს დაუთმე!

* * *

**ძმაკაცები** შვებულების შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ.

– კარგად დაისვენე?

– კარგად კი არა, ძალიან ძვირად დავისვენე. ორ მილიონზე მეტი დამიჯდა.

– რას ამბობ? ალბათ, სუპერლუქს ნომერში გეძინა, უძვირფასეს რესტორნებში დადიოდი, მდიდრული იახტით დასეირნობდი.



– რა ლუქსი, რა რესტორანი?– სანამ აგარაკზე ვიყავით, მთელი ბინა გაგვიძარცვეს...

* * *

– **მამი,** ვერ მივთხოვდები მოშეს, იგი ათეისტია და არ სჯერა, რომ ჯოჯოხეთი არსებობს.

– ეს ნუ გაფიქრებს, შვილო, თამამად გაჰყევი ცოლად, რადგან შენ და დედაშენი მაგ საწყალს მალე დაარწმუნებთ ჯოჯოხეთის არსებობაში.

* * *

**გუშინ** მეზობლის ჭუჭყიან მანქანას დავაწერე: „გამრეცხე“... დღეს ჩემს მანქანაზე წავიკითხე: „შემოდი, დაგბან“...

* * *

– **ახლა** ყველაფერი ძვირი ღირს: დაბადება, განათლება, დაკრძალვა. საინტერესოა, რისთვის ვცხოვრობთ?

– როგორ თუ, რისთვის?! რათა გადავიხადოთ...

* * *

**როგორღაც** მოულოდნელად გავხდი იმ ასაკისა, როცა ჩემი ნაცნობების ერთი ნახევარი თავისი ოჯახის გამო წუხს, მეორე ნახევარი კი უოჯახობის გამო წუწუნებს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ალანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24